

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0130 1624

# დროშა

ნოემბერი
№ 11 1983 წ.






რესპუბლიკის მოედანი.

სადღესასწაულო კოლონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს

**ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ი. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1983 წლის 28 ოქტომბერი.

# სამუდამოდ ერთად

ჩვენ ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი — ამ აზრით იყო გამსჭვალული თბილისში 29 ოქტომბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელების, საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. ავანსცენის თავზე დღესასწაულის ემბლემაა. გვერდით მოჩანს ორდენები, რომლებითაც დაგვირგვინდა საბჭოთა საქართველოს სამოცი წლისაზე მეტი ხნის გზა. ამომავალი მზისა და კრემლის მაცხოვრის კოშკის ფონზე რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშებია.

დილის 11 საათია. პრეზიდიუმში არიან მოსკოვის დელეგაციის ხელმძღვანელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. გრიშინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი**, დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის ფედერაციისა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. პ. ორლოვი**, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ქ. მ. ბაგიროვი**, სომხეთის სს რესპუბლიკისა — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. ს. დემირჩიანი**, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. მურახოვსკი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები **გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. ქ. შარტავა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ა. კონდრატიევი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **ვ. მ. არხიპოვი**, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა**.

— პატივცემულო სტუმრებო! ძვირფასო ამხანაგებო! — თქვა მან. — დიდი დღესასწაული მოვიდა საქართველოს ძველთაძველ მიწა-წყალზე. დიდი ხანია, ჩვენი რესპუბლიკა ემზადება, ღირსეულად აღნიშნოს შესანიშნავი თარიღი — რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 11 (563) ნოემბერი, 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა


© „დროშა", 1983 წ.


სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

ხელშეკრულების 200 წლისთავი. ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში გაიმართა სახალხო დღესასწაულები, კრებები, მასობრივი ღონისძიებები იუბილეს აღსანიშნავად. დღეს კი ამ დარბაზში შევიკრიბენით, რათა ერთად, ჩვენი ძვირფასი სტუმრების მონაწილეობით ვიდღესასწაულოთ სახელოვანი თარიღი.

ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ **ე. ა. შევარდნაძეს**, რომლის შთამბეჭდავი მოხსენება დიდი ინტერესით მოისმინეს სხდომის მონაწილეებმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს მიესალმნენ დელეგაციათა ხელმძღვანელები: მოსკოვისა — ამხანაგი **ვ. ვ. გრიშინი**, რუსეთის სფს რესპუბლიკისა — ამხანაგი **ვ. პ. ორლოვი**, აზერბაიჯანისა — ამხანაგი **ქ. მ. ბაგიროვი**, სომხეთისა — ამხანაგი **კ. ს. დემირჭიანი**, სტავროპოლის მხარისა — ამხანაგი **ვ. ს. მურახოვსკი**.

რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელით გამოვიდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ტ. ვ. როსტიაშვილი**.

— მეგობრობა გვეხმარება ცხოვრებასა და შრომაში, — თქვა მან. — ეს ლიტონი სიტყვები როდია, ეს გახლავთ ჩვენებური საბჭოური აზროვნების წესი, ცხოვრების წესი. ჩვენი ქარხნის კოლექტივი ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის ახალი ლაშქრობის გაჩაღების თაოსანი გახდა. და ამაში მას დაეხმარა მეგობრობა, რომელმაც ფოლადზე უფრო მტკიცედ, ცემენტზე უფრო მკვიდრად შეადუღაბა და შეაკავშირა ჩვენი მრავალეროვანი, მრავალათასიანი კოლექტივი.

სიტყვას ამბობს ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. გ. მეუნარგია**.

— რესპუბლიკის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თითოეულ კოლექტივში, — თქვა მან, — ცხოვრობენ, მუშაობენ, ილვწიან ათობით ეროვნების ადამიანები. ეს არის ერთიანი ოჯახი, რომელშიც ეროვნული კუთვნილება შუღლის საგანი კი არა, ერთობისა და ძმობის გზაა.

— ამ დღეებში ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ იმ ურღვევი მეგობრობის სათავეებს, რომლებიც ამიერკავკასიის მეომრებს აკავშირებთ რესპუბლიკის მშრომელებთან, — თქვა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ვ. მ. არხიპოვმა**. — ამ მეგობრობას იმ შორეულ დროში აქვს გადგმული ფესვი, როცა რუსეთის მეომრებმა გაიყვანეს საქართველოს სამხედრო გზა — ძმობის გზა, რომელსაც დაადგნენ რუსი სწავლულები და დიპლომატები, მწერლები და პოეტები, კომპოზიტორები და მხატვრები. ამ მეგობრობის ტრადიციები, რომლებიც მაშინ იშვა, როცა ჩვენი ოლქის წინამორბედმა— ლეგენდარულმა XI არმიამ ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მშრომელებს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აღამართვინა, განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის წლებში. და დღეს ჩვენ ერთად ვაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას. მეომრები, ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახად რომ დგანან სამშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე, ნიადაგ გრძნობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღებასა და მზრუნველობას.

— საქართველოს დაჯილდოება ლენინის ორდენით, — თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ე. კ. ხარაძემ**, — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ირგვლივ შეკავშირებული რესპუბლიკის მშრომელების სერიოზულ წარმატებათა აღიარება, რომლებიც მტკიცედ მისდევენ პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახულ კურსს. სამეურნეო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერების მუშაკებმაც.

ჩვენ, ქართველთა ახლანდელი თაობა, იმათი შთამომავალნი, ვინც უდიდესი სიბრძნე გამოიჩინა ქართველი ერისათვის საკეთილდღეო არჩევანის მოხდენისას, ჯეროვან პატივს მივაგებთ და მადლიერებით ვიხსენებთ შორსმჭვრეტელ წინაპართ.

ტრიბუნაზეა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა**.

— ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, — აღნიშნა მან, — იმით, რომ გამოიარეს რა ძნელი ისტორიული გზა, საბჭოთა საქართველოს ხალხები შეკავშირდნენ ერთიან ძმურ შრომითს ოჯახად, დღეს, როცა აღინიშნება რუსი და ქართველი ხალხების ურღვევი ერთობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის შესანიშნავი დღესასწაული, აფხაზი ხალხი თავის ერთგულ მეგობრებსა და ძმებს მიმართავს გულწრფელი სამადლობელი სიტყვებით ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. საბჭოთა აფხაზეთის მშრომელებს დიდ კმაყოფილებას ანიჭებს ის, რომ ახლანდელ ზეიმს ავტონომიური რესპუბლიკა შეხვდა სამეურნეო, სოციალური და კულტურული მშენებლობის ახალი წარმატებებით.

— საბჭოთა აჭარის დღევანდელი დღე,— ხაზი გაუსვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ**, — კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რა მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, დიდი რუსი ხალხის ძმურმა დახმარებამ ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას. ჩვენს მხარეში უმაგალითო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნები მოხდა. სოციალური მშენებლობის ხუთწლედები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ეს იყო ძმური თანადგომისა და მეგობრობის გრძნობით გაერთიანებული აქ მცხოვრები 80 ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ტიტანური, შემოქმედებითი შრომის წლები.

— განუყრელია ჩვენი ხალხების სვებედი, — თქვა თავის გამოსვლაში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ფ. ს. სანაკოევმა**. — რუსეთთან საქართველოს დამოყვრებამ ძირეულად უცვალა სახე ჩვენი მთაგორიანი მხარის ცხოვრებას. თუ ამ მეგობრულ ხელშეკრულებამდე ოს-ქართველთა ურთიერთობის მთავარი ფორმა იყო ერთობლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, [illegible] ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა პრაქტიკულად არ ვითარდებოდა, გეორგიევსკის ტრაქტატის დადება გახდა სამხრეთ ოსეთის განუხრელი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების ამოსავალი წერტილი.

რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის სახელით გამოსვლისას საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა **ნ. ვ. დუმბაძემ** თქვა:

— კიდევ ერთი ლენინის ორდენი აკიაფდა ჩემი რესპუბლიკის ზეალმართულ ინტერნაციონალურ ალამზე და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მძლავრ მკერდს კიდევ მრავალგზის დაამშვენებს ორდენები და სხვა წარჩინების ნიშნები.

ჭეშმარიტი თავისუფლება მოუტანა საქართველოს ოქტომბრის რევოლუციამ. 66 წლის მანძილზე მოხდა ჩემი ერის უმაგალითო კულტურული აღორძინება, ხოლო უკანასკნელ ათ წელიწადს გაუზვიადებლად შეიძლება ეწოდოს ქართული ხელოვნების რენესანსი, არ მოიპოვება ამ ქვეყნად ძალა, რომელიც შეძლებდა მოესპო ჩემი წმიდათაწმიდა ენა, ჩემი ერის მაღალი ხელოვნება, მთელი მისი დიადი მიღწევები მატერიალურ და სულიერ სფეროში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს, რომელიც წაიკითხა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. დ. გაბუნიამ**.

შეკრებილებს მხურვალედ მიესალმნენ საქართველოს პიონერები, კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

საზეიმო კრების დახურვისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ლ. ქართველიშვილმა** თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა საზეიმო სხდომამ, რომელიც რუსეთისა და საქართველოს მეგობრულ გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს მიეძღვნა, ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ხალხების, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი მეგობრობა და ძმობა.

ულრმეს მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს ჩვენი რესპუბლიკისადმი მუდმივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

დარბაზს მოეფინა „ინტერნაციონალის“ დიდებული მელოდია, სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს.

# ცხოვრების დიდი ლოგიკა

ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

საზეიმო განწყობილება სუფევს საქართველოში. რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი გულწრფელი მადლიერების გრძნობით, ჩვენი მრავალეროვანი კავშირის დიადი საქმეებისა და მიღწევების თანაზიარობისათვის სიამაყის გრძნობით აღიქვა რესპუბლიკის თითოეულმა მშრომელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება.

საქართველომ საზეიმოდ აღნიშნა დიდ რუს ხალხთან უკრაინელი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, სომეხი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დამოყვრების ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღები. ახლა ინტერნაციონალური ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის დიდი და ნათელი დღესასწაული ჩვენს უძველეს მიწა-წყალზეც მოვიდა. მას ჩვენთან ერთად ზეიმობს საბჭოთა კავშირის მთელი მრავალეროვანი ოჯახი. რა, რომელი ძალები იზიდავს ჩვენი ქვეყნის ხალხებს დიდი რუსი ხალხისადმი? ეს არის მისი სულის ინტერნაციონალური ბუნება, ჰუმანიზმი, თავდადებული ბრძოლა სიმართლისა და სამართლიანობისათვის. რუსული ხასიათი ისეთივე ფართო და მშვენიერია, როგორც თავად რუსეთი. რუსი კაცის ბუნება ისეთივე მადლიანი და დაუშრეტელია, როგორც რუსული მიწის წიაღი.

●

გეორგიევსკის ხელშეკრულება იმ პროგრესული ისტორიული პროცესის წინამორბედი გახდა, რომელმაც საქართველო, მრავალსაუკუნოვანი ომების შემდეგ, რევოლუციური ბრძოლების ბრძმედში გამოვლილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებამდე მოიყვანა.

ისტორიას თვალთმაქცობის ძალი არ შესწევს — ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, პატრიოტ-განმანათლებელს ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც გეორგიევსკის ხელშეკრულების სათავეებთან იდგა. და მართლაც, ისტორიის ლოგიკა ურყევია: მხოლოდ ორი ხალხის, და არა დინასტიებისა და მთავრობების, საერთო მიზნები და ინტერესები შეიძლებოდა გამხდარიყო მათი ჭეშმარიტი ერთიანობის, კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის მათი ერთობლივი ბრძოლის ობიექტური, ისტორიული წანამძღვარი. მხოლოდ რუსეთთან კავშირი თუ გადაარჩენდა უცხოელ დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლით დაცლილ საქართველოსა და მის ქედუხრელ თავისუფლებისმოყვარე ხალხს ფიზიკური მოსპობისაგან და ეკონომიკური, კულტურული და სულიერი აღორძინების გზას გაუხსნიდა მას.

ახალი თვისება შეიძინა რუსეთისა და საქართველოს პროგრესული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთგაგებამ, როცა განმათავისუფლებელი იდეალების მასაზრდოებელი გახდა რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი. რუსეთის სასწავლებლები არა მარტო ცოდნით ამდიდრებდნენ ქართველ ახალგაზრდობას, არამედ დემოკრატიული აღზრდის პირველი სკოლის როლსაც ასრულებდნენ. ჩვენში ჩამოყალიბდა ქართველ „სამოციანელთა“ შესანიშნავი პლეადა, რომელსაც სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე.

ქართველი ახალგაზრდობა ხარბად დაეწაფა ბ. გ. ბელინსკის, ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლიუბოვის მოწინავე იდეებს.

ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების გადამწყვეტი ეტაპი გახდა კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ სარბიელზე რუსეთის პროლეტარიატის გამოსვლა. საქართველოში მუშათა მოძრაობა სრულიად რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული პეტერბურგში ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან“. ლენინი წარმართავდა საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, ქმედითად ეხმარებოდა მათ მუშაობაში. თავის მხრივ, ახალი ტიპის ჭეშმარიტად პროლეტარული პარტიის შექმნისათვის, რევოლუციის თეორიის პრინციპების სიწმინდისათვის ბრძოლაში ლენინის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები. ლენინის საქმის უსაზღვრო ერთგულება, მაღალი ინტერნაციონალიზმის გრძნობა ყოველთვის ახასიათებდა ქართველ ბოლშევიკებს. ისინი ახსოვთ რუსეთის ბევრ კუთხეში, სადაც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლები ქუხდა. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აქტიური მონაწილენი იყვნენ, შინაური და საერთაშორისო რეაქციის ძალებთან პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სახელმწიფოს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებათა მრისხანე წლებში იცავდნენ ამ რევოლუციის მონაპოვრებს. და როცა მენშევიკურ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობასთან და უცხოელ ინტერვენტებთან „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლის“ ჟამმა დაჰკრა, საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი, წითელი არმია გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელთა თხოვნას და ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით დაეხმარნენ აჯანყებულ ხალხს.

დიდი ოქტომბრის, საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, რომელიც თბილისზე აფრიალდა 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს მშრომელი ხალხის მრავალი თაობის ოცნებისა და მისწრაფების ახდენის, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ეპოქის — ხალხის აღმშენებლობითი ენერგიის სრული განთავისუფლების, მასების ჭეშმარიტი ისტორიული შემოქმედების ეპოქის სიმბოლო გახდა.

„პროლეტარული ინტერნაციონალიზმი [illegible] ლენინური ეროვნული [illegible] ცხოვრების მშენებლობის [illegible] ებიდანვე მძლავრ [illegible] იქცა. 1921 წელი იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება პირველ ნაბიჯებს დგამდა, ვ. ი. ლენინი კი უკვე ჭვრეტდა ქვეყნის მომავალს, კავკასიის კომუნისტებისადმი მისი ცნობილი წერილები არსებითად უკვე შეიცავდა მხარის ეკონომიკისა და კულტურის სოციალისტური გარდაქმნის ვრცელ პროგრამას.

ლენინის ასეთი ზრუნვა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, სოციალისტური მეურნეობრიობის ქვაკუთხედი. ჩვენი მრავალეროვანი კავშირის ხალხთა ურთიერთობის კონსტიტუციური პრინციპი გახდა. როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, „ისტორიაში პირველად ქვეყნის მრავალეროვანი შემადგენლობა მისი სისუსტის წყაროდან ძალისა და აყვავების წყაროდ გადაიქცა“.

დიახ, ეს ძალა დაეხმარა ქართველ ხალხს დიდ რუს ხალხთან მხარდამხარ, საბჭოთა კავშირის ერთა და ეროვნებათა ძმურ ოჯახში თავისი ღირსეული წვლილი შეეტანა ინდუსტრიალიზაციაში, კოლექტივიზაციაში, კულტურულ რევოლუციაში, დიდი სამამულო ომის დროს სოციალისტური სამშობლოს დაცვაში, ქვეყნის ომის შემდგომ აღორძინებაში, მსოფლიოში პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მშენებლობაში.

●

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ძალა ის არის, რომ მასში აკუმულირებულია ყოველივე საუკეთესო, რაც არის საბჭოთა ხალხების იდეურ-ინტელექტუალურ ზნეობრივ-სულიერ სახეში. იგი მრავალგზის ამრავლებს მათს აღმშენებლობითს პოტენციალსა და შემოქმედებითს გენიას.

ეს კანონზომიერება განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, როცა თვისებრივად ახალ დონეს აღწევს საერთოსაკავშირო ეკონომიკა — ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. მატულობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება, მტკიცდება საკავშირო და ეროვნული სახელმწიფოებრიობის განუყრელი ერთიანობა სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების გაღრმავების საფუძველზე. ამასთანავე სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა გაცვლის პროცესი და სოციალისტური ერებისა და ეროვნებების ყოველმხრივი აყვავებისა და დაახლოების, სულიერ კულტურათა ურთიერთგამდიდრების საფუძველზე მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მთელი წყობის ინტერნაციონალიზაცია, სსრ კავშირის ხალხთა ჭეშმარიტი ეროვნულის ინტერნაციონალურ და ინტერნაციონალურისა ეროვნულ კუთვნილებად გადაზრდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოქმნა. საზოგადოებაში მიღწეულია ერთა და ეროვნებათა არა მარტო იურიდიული

არამედ აგრეთვე ფაქტობრივი თანასწორობა.

და ამ ფაქტობრივ თანასწორობას უზრუნველყოფს უწინარეს ყოვლისა ყველა ეროვნული რეგიონის მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნა: ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა საქართველო. ზუსტად ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა საქართველოს სსრ ენერგეტიკის პერსპექტიული განვითარების პროგრამა 2000 წლამდე. და როგორ არ გაგახსენდება დრო, როცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ვ. ი. ლენინის მითითებით რუსეთის სფსრ მთავრობამ 750 ათასი მანეთი გამოუყო ოქროთი გოელროს ერთ-ერთ პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის! ამ მოვლენებს შორის ათწლეულებია, მიღებულ გადაწყვეტილებათა მასშტაბები სულ სხვადასხვაგვარია, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი ლენინური პრინციპი: ყველა პირობები შევუქმნათ საწარმოო ძალების დაჩქარებულ და საყოველთაო განვითარებას.

სწორედ ამ მიზანს ისახავდა უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ფუნდამენტური დადგენილებანი საქართველოსა და მისი პარტიული ორგანიზაციის შესახებ. მათი განუხრელი განხორციელების შედეგად 10-11 წლის მანძილზე რესპუბლიკის ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალი თითქმის გაორკეცდა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვა, 1,8-ჯერ და მეტად გაფართოვდა ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩაბმულია ნახევარ მილიონამდე კაცი. მრავალი მაჩვენებლის, კერძოდ, ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში მოწინავე პოზიციებზე გავიდა.

ამასთანავე ამ წლების განმავლობაში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც მუშაობის ლენინურ სტილს ამკვიდრებს და ფსიქოლოგიური კლიმატის საყოველთაო გაჯანსაღებისათვის იბრძვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე ძალების კონცენტრაციის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მართვის სრულყოფის გამოცდილება შეიძინა. საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, როგორც ცნობილია, გარდაუვალად იწვევს საწარმოო ურთიერთობის ცვლილებებს, მართვა კი მათი რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. სწორედ ასეთი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ რესპუბლიკაში მიმდინარე სამართველო ექსპერიმენტები, რომლებშიც შერწყმულია ყოველივე პროგრესული და საუკეთესო, რაც მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს. ჩვენ ყოველივე ეს პრაქტიკულად განვავითარეთ და ჩვენი მხრივ ჩვენი გამოცდილება მთელი კოლექტიური ინტერნაციონალური გამოცდილების კუთვნილებად გადავაქციეთ.

სწორედ ასე ყალიბდებოდა რესპუბლიკის აბაშის რაიონში პირველად აპრობირებული აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პროგრესული მეთოდი, რომელსაც სხვა რეგიონებში ანალოგიურ წამოწყებებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა საყოველთაო დანერგვის რეკომენდაცია მისცა. დღეს ჩვენ განვაგრძობთ სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების ინტეგრაციის ღონისძიებებს იმგვარად, რომ გავზარდოთ რესპუბლიკის წვლილი ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

მართვის ახალი ფორმების საინტერესო ძიება მიმდინარეობს სამრეწველო წარმოების სფეროშიც. მაგალითად, ფოთში შექმნილმა დარგთშორისმა საწარმოო გაერთიანებამ საშუალება მოგვცა მოგვეგვარებინა ქალაქის საწარმოთა საქმიანობის უკეთესი კოორდინაცია მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაზე.

მიმდინარე მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების საქმიანი კომპეტენტურობის ამაღლების სისტემას, მათი ეკონომიკური ერუდიციის გაფართოებას, ადგილებზე ეკონომიკური მუშაობის გაძლიერებას. ამან საშუალება მოგვცა არსებითად გაგვეღრმავებინა წარმოების ზრდის რეზერვების ძიება როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა.

სახალხო მეურნეობის დარგების ინტენსიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების გაზრდის ამოცანები გვიკარნახებს მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ამ სფეროზე პარტიული გავლენის გაძლიერების პრობლემებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტებს ამოცანად დაუსახა მთელი რესპუბლიკა მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების, მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის პოლიგონად გადააქციონ.

ყველა ჩვენი წამოწყება, შემოქმედებითი ძიება პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, ქვეყნის მრავალი საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების საქმიან მხარდაჭერას და დაინტერესებას ეყრდნობა.

●

საბჭოთა რესპუბლიკები თავიანთი შრომის შედეგებს საერთო სახალხო-სამეურნეო კომპლექსში აერთიანებენ, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ყოველი ერთეული საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთობლივ შრომას შეიცავს.

ყოველი ერისა და ეროვნების სოციალური პროგრესისათვის, კეთილდღეობისა და სულიერი აყვავებისათვის ზრუნვა ჩვენი მუდმივი პარტიული და სახელმწიფო პროგრამაა. მარტო ამ ბოლო წლების მანძილზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მთელი რიგი დადგენილებანი, რომელთა მიზანია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა მრავალეროვანი რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება. მუდმივი ყურადღება ეთმობა მოძმე რესპუბლიკებთან საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებანი საგანგებოდ ეძღვნება საბჭოთა საქართველოს სკოლებში ეროვნული ენების — ქართულის, აფხაზურის, ოსურის, სომხური, აზერბაიჯანული, ქურთული და ბერძნული ენების სწავლების გაუმჯობესების პრაქტიკულ ღონისძიებებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსული ენის შესწავლას, რომელთანაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია რევოლუციური იდეების გავრცელება, სოციალური და კულტურული გარდაქმნები, რომლებიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მოხდა. პარტიული და საბჭოთა ორგანოები და სპეციალურად შექმნილი ქვეგანაყოფები კოორდინაციას უწევენ ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის ღონისძიებებს. მრავალფეროვანი და ინტერნაციონალურია რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება, რასაც ხელს უწყობს ბევრი ეროვნული მხატვრული კოლექტივის საქმიანობა, პერიოდიკა და წიგნის პროდუქცია, რომელიც რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის ხალხთა ექვს ენაზე გამოდის, მრავალეროვნული სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების ბაზის გაფართოება.

ჩვენ ვცდილობთ, სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი ორგანულად შევუხამოთ მასობრივ-პროპაგანდისტულ მუშაობას. ფართოვდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის უნიკალური მუზეუმის ფილიალების ქსელი, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ახალი სოციალისტური შინაარსი შეიძინა საუკეთესო ხალხურმა ტრადიციებმა, მასობრივმა ზეიმებმა და სამოქალაქო რიტუალებმა.

განა თუნდაც ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი წარსულის რომელიმე ფუტუროლოგიც წარმოიდგენდა, რომ საქართველო ესოდენ მინიმალურ ისტორიულ ვადაში საერთაშორისო ავტორიტეტს მოიპოვებდა მეცნიერული აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების დარგში? მრავალი მეცნიერის, რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწის სამეცნიერო შრომები და მხატვრული ნაწარმოებები მნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტური ცივილიზაციის სულიერ საგანძურში. და ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ საქართველოს კულტურული ცხოვრება დღენიადაგ მდიდრდება ჩვენში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების კულტურის ოსტატთა ჩინებული, თავისთავადი ნაწარმოებებით.

ინტერნაციონალიზმი ერის სულიერი ცხოვრების უმაღლესი ფორმაა, რადგან მის საფუძველზე ხდება სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ეროვნული კულტურების ურთიერთშეღწევა და ურთიერთგამდიდრება. ცნობილია, რომ მხატვრული სრულყოფილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მრავალფეროვნების ჰარმონიული ერთიანობა. ქართულ ხალხურ მელოსში გავრცელებულია პოლიფონია, როცა ყოველ ხმას თავისი ფუნქცია, თავისი განსაკუთრებული ელფერი აქვს, მაგრამ დანარჩენ ხმებთან შეხმატკბილებული გასაოცარ ჰარმონიულ ერთიანობას ქმნის. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებაზე, რომლებიც საბჭოთა სოციალისტუ-

# ჟურნალ „დროშის“ რედაქციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს ჟურნალ „დროშის“ კოლექტივს, მის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მრავალრიცხოვან მკითხველს ღირსშესანიშნავ თარიღს — ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავს.

ექვსი ათეული წელია ემსახურება „დროშა“ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს, ჟურნალი გახდა რესპუბლიკის ცხოვრების ჭეშმარიტი მატიანე. პირველი ნომრიდან დაწყებული დღემდე ქართველი მწერლები მის ფურცლებზე აქვეყნებდნენ და აქვეყნებენ თავიანთ საუკეთესო პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, მხატვრულ ნარკვევებს, პუბლიცისტურ სტატიებს, ცოცხლად ეხმაურებიან ჩვენი სინამდვილის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

„დროშა“ ყოველთვის აქტიურად უწყობდა ხელს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას, ნათლად ასახავდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლას დიად ლენინურ მიზანდასახულობათა ცხოვრებაში გასატარებლად, სერიოზულად, აქტიურად მუშაობდა რესპუბლიკის მშრომელებისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური და თეორიული დონე, ახალი ფერებით გამდიდრდა მისი შინაარსი, გაძლიერდა გამოსვლების ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა. ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ჟურნალს მიეცა შესაძლებლობა, თავის საქმიანობაში ფართოდ ჩაება საუკეთესო სამწერლო, სამეცნიერო, ჟურნალისტური ძალები. რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების სისტემატურმა თანამშრომლობამ ჟურნალში კიდევ უფრო განამტკიცა მისი ბრძოლისუნარიანობა და ავტორიტეტი.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგიამ, შემოქმედებითმა აქტივმა მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კომუნისტური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანათა განხორციელებისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას, ლიტერატურულ-მხატვრული პროდუქციის იდეურ-პოლიტიკური დონის, პუბლიცისტიკის მებრძოლურობისა და ქმედითობის შემდგომ ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალ წარმატებებს უსურვებს ჟურნალ „დროშას“ და გამოთქვამს იმის რწმენას, რომ ჟურნალი მომავალშიც ღრმად და ყოველმხრივ გააშუქებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს სახელმწიფო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

რი კულტურის მრავალწახნაგოვან შენადნობს ქმნიან. ყოველ ჭეშმარიტ ლიტერატურულ და ხელოვნების ნაწარმოებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს — იგი ინტერნაციონალური მოვლენაა. ხელოვნება ადამიანთა ერთიანობის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. ამის რაოდენ ბრწყინვალე, თვალსაჩინო დასტურია წლევანდელ საიუბილეო წელს გამართული საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ვლადიმირში, სტავროპოლსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, და ამას წინათ საქართველოში მოწყობილი რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები! ეს მოვლენები დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა რუსი და ქართველი ხალხების სულიერი ურთიერთგამდიდრების ისტორიულ პროცესში და მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის დღესასწაულად გადაიქცა.

გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავისათვის რომ ვემზადებოდით, ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობდით ამ მოვლენისადმი ბურჟუაზიული პროპაგანდის განსაკუთრებით გულმოდგინე, განსაკუთრებით აქტიურ, ლამის ავადმყოფურ ყურადღებას. კვლავ „აყაყანდნენ“ ოკეანისგაღმელი ეროვნული ინტერესების „ქომაგნი“. რამ აამღელვარა ასე ჩვენი დასავლელი „ოპონენტები“, რამ გამოიწვია მათი ასეთი თავგამოდებული მშფოთვარება გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის გამო? პასუხი მარტივი და ნათელია: რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის იუბილე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში საბჭოთა სახელმწიფოს გამოცდილების სულ უფრო მზარდი საერთაშორისო გავლენის კიდევ ერთ დამაჯერებელ დემონსტრაციად იქცა.

თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების იდეები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსია. სწორედ ამ სულისკვეთებით და იდეებით არის გამსჭვალული პარტიისა და მთავრობის ყველა ინიციატივა, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რაც ესოდენ ძალით გამოიხატა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მთელ რიგ გამოსვლებში.

ტანჯვა-ვაებით მოპოვებული ისტორიული გამოცდილება მოწმობს — ადამიანი იმ იდეას მისდევს, რომლის ჭეშმარიტებაც სწამს. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ჭეშმარიტება და ცხოველმყოფლობა ჩვენი ინტერნაციონალური გაერთიანების ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელი ისტორიით არის შემოწმებული. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს მათი პრაქტიკული ხორცშესხმა, სძლევდნენ რა ნათელი მომავლის პირველმკვალავთა სიძნელეებს, ინტერვენციისა და ომების უმკაცრეს განსაცდელს, კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი მეგობრობა და ძმობა.

ჩვენი განვითარების წინსვლის პროცესში, შემოქმედებითად ვუდგებით რა თითოეული პრობლემის გადაწყვეტას, დაზღვეული როდი ვართ ცალკეული ხარვეზებისაგან. ასეთ შემთხვევებში ჩვენი პარტია, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, საქვეყნოდ და საჯაროდ ესაუბრება ადამიანებს პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე, ეთათბირება ხალხს მათი აღმოფხვრის გზებზე.

ლენინი ამბობდა, კომუნისტების პარტია ნოვატორების პარტიააო. ამის ბრწყინვალე დადასტურება გახდა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც განსაზღვრა მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეალისტური პროგრამა. დიდი და რთული ამოცანებია დასახული საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, კომუნისტებისა და მშრომელების წინაშე ამ პროგრამის განხორციელების გზაზე. მაგრამ ჩვენ ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობით ვართ აღსავსენი, გვწამს, რომ მივაღწევთ დასახულ მიზნებს, რადგან მხარში გვიდგას დიდი რუსი ხალხი, ჩვენი ერთიანი ოჯახის ყველა ხალხი. დღეს, როცა აღვნიშნავთ მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს, ჩვენ ვხედავთ ამ ღირსშესანიშნავი თარიღის ლოგიკურ მემკვიდრეობითობას, ერთიან ზნეობრივ საფუძველს სსრ კავშირის ყველა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის დიად ისტორიულ პროცესთან.

„პრავდა“, 1983 წ. 29 X.



# თბილისის საპატიო მოქალაქენი - 1983

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად გულითადად მიესალმება 1983 წელს არჩეულ თბილისის საპატიო მოქალაქეებს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ავლიპი ზურაბაშვილს, წარჩინებულ ელმავალმშენებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გურამ მეტონიძეს, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატს, პოეტ ანა კალანდაძეს, საქართველოს სახალხო არტისტს, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს, კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, თბილისის მთავარ მხატვარს ოთარ ლითანიშვილს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს, მრავალშვილიან დედას მანანა აბრამიშვილ-ფეტვიაშვილს, ჩვენს სასიქადულო თბილისელებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს გიორგი ტოვსტონოგოვს, ცნობილ კინორეჟისორს, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ლევ კულიჯანოვს.

### ლევ კულიჯანოვს

თქვენ ქალაქელი ბიჭი ხართ,
აქ გიდგათ ყრმობის ფესვები
და უსაყვარლეს ნაკვნარს
დღემუდამ ეალერსებით.

სადაც არ უნდა იღვწოდეთ,
თბილისს თვალი დაგიცავთ.

თქვენც ძგულებით მოსკოვში
შვილად, იმედად, საფიცრად.

### ავლიპი ზურაბაშვილს

ბოდბისხეველო ბრძენკაცო,
სიტყვა გიჭრით და გონება.
საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს
გწყავთ პოეზიის მონებაც.
თქვენი სიბერე ვინა თქვა,
გიქებთ ჭაბუკურ მხნეობას.
კვლავ უთვალავჯერ გვხილოთ
დედათბილისის დღეობა!

### გიორგი ტოვსტონოგოვს

ბურჯო საბჭოთა თეატრის,
გმირიც ხართ, ლაურეატიც.
განა გაკლიათ დიდება,
განა გაკლიათ წოდება,
და მაინც ეს დღე თბილისს
მრავალჯერ მოგაგონდებათ.
ქართველი დედის დალოცვილ
ხელოვანს, ბრძენს და ენამზეს,
სულ გებობოქროთ ნევაზე
და თქვენს მშობლიურ სცენაზე!

### გურამ მეტონიძეს

ელმავალთა მშენებელი
ტრიბუნაზეც ლომურ დგახართ,
და გვახარებს, მუშაკაცო
თბილისელებს რომ უყვარხართ.
თქვენს შრომაში ნათლად მოჩანს
ჭეშმარიტი გმირის ხელი,
ამიტომაც გქვიათ ახლა
საპატიო თბილისელი.

### ანა კალანდაძეს

საყვარელო ანა,
განა
მრავალი გვყავს თქვენისთანა?
ნეტავი რა დაგიშავეთ,
ჩვენ რომ გვივლით განდაგანა, —
„დროშისათვის“ ლამაზ ლექსებს
მოგვაწვდიდეთ ხანდახანა!

### მერაბ ბერძენიშვილს

სახელდახელო ლექსს გიძღვნით,
ძმაო კეთილო, ამჯერად:
ერმა გიკურთხათ შვილობა
და დიდოსტატის მარჯვენა.
სულს რომ ჩაუდგამთ ქვას და ლოდს,
მერე იმ სულში იჭრებით.
კიდევაც დაიზრდებიან
ვერეს თქვენებრი ბიჭები?

### გიორგი ცაბაძეს

თბილისს ბევრი მეხოტბე ჰყავს,
განა ოდეს დაელევა,
მაგრამ თქვენი ჯადო-ჰანგი
არავისში აჯვერევა.
რიყრაყიდან რიყრაყამდე
ჯავარიან ბგერებს დასდევთ
და საყვარელ დედაქალაქს
უძღვნით ცისფერ სერენადებს.

### ოთარ ლითანიშვილს

რა კაფია უნდა გიძღვნათ
თავად კაცსა ენამზესა,
როცა ხატვით დაილღებით,
ლაპარაკობთ ძმებთან ლექსად.
ერთ დროს ფეხბურთს თამაშობდით
ტოლსწორებში გატაცებით,
ახლა თბილისს ალამაზებთ
თქვენ და თქვენი ძმაკაცები.

# ჩვენი „დროშა“

ოციანი წლების დასაწყისიდან ჩვენში ბევრ ჟურნალ-გაზეთს დაედო სათავე. საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობამ წარმოშვა მიმართულებები, რომლებიც ახალ, საბჭოურ იდეოლოგიას ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავებული საშუალებებით ემსახურებოდნენ. მათ შორის იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვ რ უ ლ ი ჟურნალი „დროშა“, რომელმაც თავიდანვე აქტიური პოზიცია დაიკავა. ფოსტალიონს ჩვენთან რეგულარულად მო[illegible]ქონდა თითქმის ყველა ჟურნალი და გაზეთი, ოციანი წლებიდან ასე უხვად რომ გამოდიოდა საქართველოში; „დროშა“ ერთი იმათგანი იყო, რომლებიც თავიანთი მხატვრულობითა და ცხოვრებისეული სიხალისით ეხმაურებოდნენ ყველაფერს ახალსა და კეთილს, რაც ასე ძალუმად მკვიდრდებოდა ჩვენში.

ყმაწვილკაცობაში ამ ჟურნალის მუდმივი მკითხველი ვიყავი, დროდადრო ვთანამშრომლობდი კიდეც, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მისი ხელმძღვანელი გავხდებოდი. დიდებული წინამორბედები მყავდნენ — გამოჩენილი მწერლები, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები.

ამ ოცდაორი წლის წინათ დავიწყე „დროშის“ მთავარ რედაქტორად მუშაობა. დამხვდა შესანიშნავი კოლექტივი, რომლის წარმომადგენლები დღესაც გატაცებით და სიყვარულით შრომობენ რედაქციაში. მალე შემოგვიერთდა მთავარი მხატვარი დინარა ნოდია, ვისი მადლიანი ხელიც ასე ამკობს და ალამაზებს „დროშას“. ჟურნალის ღირსებებს ამაღლებდა ჩვენგან ასე უდროოდ წასული გურამ თიკანაძე...

რას ვისურვებდი? კვლავაც ასე მაღლა ეპყრათ ხელთ ქართული პრესის ეს მძლავრი დროშა ჩვენს „დროშელებს“; კიდევ იმას ვისურვებდი, რომ პერიოდულობით მიახლოვებოდეს მის უფროს მეგობარ „ოგონიოკს“.

საამისო საშუალება არსებობს, მით უმეტეს, რომ დღეს „დროშას“ ავტორიტეტული კოლექტივი ჰყავს.

დე, ყოველთვის ასე ძალუმად ისმოდეს „დროშის“ აფრის ტკაცუნი!

**აკაკი ძიძიგური,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

# ამირანის ბუდეში ნამღერი

გიორგი ხორგუაშვილი,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვისაც უნდა, რომ ქართლის მომხიბლავი სილამაზე-სიმშვენიერე იხილოს, დანახვისზე უნდა შედგეს ცაწმინდობისას და იქიდან გაიმზიანოს გუნება. დანახვისი გამორჩეული მთამწვერვალია ატენის ხეობაზე, გამორჩეული თავისი სიმაღლითაც და სილამაზითაც.

დიახ, დანახვისიდან მართლაც რომ ხელის გულივით მოჩანს თვით ტანას, თეძმის, ლიახვისა თუ ლეხურას ხეობები თავიანთი მთიან-ტყიანეთით, დალალებივით გადმოშლილი მდინარეებითა და ბაღ-ვენახებით, მოჩითული ვაკე-ზეგნებით. თვალი მსუბუქად დასდევს მტკვრის ხეობას ყინწვისის მიხაელ-მოსახედიდან მცხეთის ჯვრის მონასტრამდე. ცაკამკამაზე თბილისის უბნებიც კი მოიხილვება.

ასეთი შორი თვალსაწიერი აქვს შეუდარებელ დანახვისას, მაგრამ ვერასდროს ვერა ჩანს ქართლის დიდი სოფელი — დოესი, რომელიც ასე ახლოა ამ მთასთან. მექერიანის მთა ეფარება და იმიტომაც ვერ მოჩანს დანახვისიდან დოესი. ასე ინება ბუნებამ.

ისტორიამაც თითქოს ასე ინებაო. ეს ათასკომლიანი სოფელი ეგრერიგად ვერა ხმიანობს, როგორც ზოგიერთი სხვა ქართული სოფელი, თუნდაც მისი კარის მეზობლები — ხოვლე და უფლისციხე. ძველი მემატიანეებიც სიტყვაძუნწობდნენ და ახალი მეისტორიენიც, ალბათ, იმიტომ, რომ აქ არც ისეთი დიდი არქიტექტურული ძეგლი აგებულა და არც ისეთი დიდი ადამიანი დაბადებულა, რომ საქვეყნოდ გაეჯირითებინოთ სოფლის სახელი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დოესელი კაცი განზე მდგარიყოს იმ ისტორიული ქარტეხილებისაგან, რაც ქართლს დასტყდომია თავს. აქაური უცნობი ადამიანის სისხლი და ოფლი დასაბამიდან დღემდე საკმაოდ ურევია ქართველობის სიმტკიცის საძირკველში.

ამ სოფელში რომ ცხოვრება დასაბამიდან ჩქეფდა, ამაზე დაგვემოწმებიან მის მიდამოებში შემთხვევით ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები, ნასახლარები, ნაციხარები და ნასაყდრალები, უთუოდ დოესელი უჩინარი კაციც კვეთავდა კლდის ქალაქს — უფლისციხეს, აქაურ უჩინარ გმირებს უნდა ემირანათ თვით უფლისციხისა და გორისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის ლაშქრობებში, დოესისავე მინდორ-ზედაველზე გამართულ დიდ ომში, დიდი თურქობის დროს, კერძოდ კი 1724 წელს რომ მოხდა.

დოესელმა უჩინარმა გმირებმა თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი გამოავლინეს ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზეც, მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, 1918 წლის მაისსა და 1919 წლის ნოემბერში; დიდ სამამულო ომშიც, სადაც სამშობლოს დაძახილზე დადგა 392 მეომარი, რომელთაგან 260 შინ ველარ დაბრუნდა. სამი მათგანის მამაცობა საქვეყნოდ საჩინო გახდა — დოესელმა ილია ხმალაძემ და ამ საბჭოში შემავალ სოფელ გრაკალის მკვიდრმა სურენ ასლამაზაშვილმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურეს, ხოლო პედაგოგმა ივანე აბრამიძემ სამშობლო ასახელა. სამშობლოს გარეთ — საფრანგეთის ქალაქ პერიგეში მოაწყო ტყვეთა აჯანყება ფაშისტების წინააღმდეგ და გმირული სიკვდილით დაეცა.

სხვა გმირებითაც ამაყობენ დოესელები.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს „თეზმიდან ატენის წყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზმის რუთი, და არს ფრიად მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა“.

რა არ ხარობს ამ მადლიან მიწაზე: ხეხილს იტყვით თუ ვაზსა, ბოსტნეულსა თუ ბაღჩეულსა, ხორბალსა თუ სიმინდსა, — ყველაფერს ლალიანზარაქიან ძუძუს აწოვებს იგი.

ოდესღაც ამ ნოყიერ მიწებს წყურვილი ჰკლავდა. მხოლოდ მაშინ გაიხარებდა, როცა ცას ნამი გაუვარდებოდა. თუ წვიმიანი წელიწადი მობრუნდებოდა, მოსავალი ზღვად გასკდებოდა, ზედაველასა თუ ნამგალეებში, საქარის ძირსა თუ წვერუკანა, ისეთი ყანა შედედდებოდა, რომ მართლაც არ დაენახვებოდა ავ თვალსა. მიწაც ცას შეჰყურებდა და გლეხკაციცა, საქარის ქედზე რომ საავდრო ღრუბლები აიშლებოდნენ, მეოფლის გულში დარი დადგებოდა, ხოლო როცა „ზეცა კბილებს გაკრეჭდა“, ანუ გვალვიანი წელიწადი წავიდოდა, მცენარეს ფოთოლი მოეხრუკებოდა, კაცს — გული, სოფლის დედაკაცები თეთრ თავშლებს მოიხვევდნენ და წვიმის ღმერთს შესთხოვდნენ: „აღარ გვინდა გორახო, ღმერთო, მოგვეც ტალახიო“. ის ულვთო ღმერთიც გაჯიქდებოდა, ამხელა გაგანია ზაფხულს ერთ ცრემლსაც არ ჩამოაგდებდა. მაშინ კი აწუწუნდებოდა გლეხი, მექერიანის ტყისკენ ხელს გაიშვერდა და ნაღვლიანად იტყოდა: „ეს ოხერი, ამხელა მთა გდია და ერთი ნაკადული წყალი არსაიდან გამოსდისო“.

წყალუხვი მდინარეები ძალიან შორს არ ჩამოუდიოდნენ, მათი სარწყავად გამოყენება კი ვერ ხერხდებოდა. მდინარე თეძმიდან ჯერ კიდევ ადრე შეძლეს არხის გამოყვანა, მაგრამ მეტად უკმარი იყო კილომეტრებზე გადაჭიმული ველ-მინდვრებისათვის, მიწა მაინც გალექებული იყო სიცხისა და ხვატისაგან, უხვი და მძლავრი დედამტკვარი კი ბოლოში ჩამოუდიოდა დოესის მინდვრებს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მტკვრის წყალი აბუტბუტებულიყო ამ სოფლის მინდვრებში, მაგრამ არხმა, რომელიც სათავეს გორში იღებს დაიტანა ამ სოფლის მინდვრების მცირე ნაწილი, დიდი და ნოყიერი მიწები კი ისევ შესჩიოდა პატრონს.

თხუთმეტიოდე წლის წინათ უფლისციხის გამოსწვრივ, კვირაცხოვ-

ლის მახლობლად დაიდგა დიდი საქაჩი და მტკვრის წყლით გაიხარეს მარტო დოესის კი არა, ქვახვრელის, ხიდისთავის, ატენის, ხოვლის, ყარალაჯისა და გრაკალის მინდვრებმა. ზედაველასა და საქარის ძირში, ნამგალეებსა და წვერუკანა მიწებში წყალი ისე ჭირდა, რომ მიწისა კი არა და კაცის გასაგრილებელიც სანატრელი იყო. გალექებულ მენახირეს რომ კამეჩის ნაფეხურში ჩამდგარი წყალი დაულევია, — ამ მინდვრებში ახლა მადლიერად ბუყბუყებს გულნაჯერები მიწა. ხორბალი და სიმინდი კი არა, წყალზე „გალოთებულნი“ — ხახვის, კიტრის, კომბოსტოს, სტაფილოს, ნიახურის, ოხრახუშის ნათესნარგავებიც ლალანებენ.

ჰაი, დედასა, — იტყვიან ხოლმე სახელოვანი მეურნენი — მარიამ ბეგლარაშვილი და მარიამ ხორგუაშვილი, ფეფო ჭონიაშვილი და შალვა შაქარაშვილი, ვასო მჭედლიშვილი და გიორგი თაბუაშვილი, კოლა ახალკაცი და სერგო ხეჩუაშვილი — ჩვენ დროშიც ესე ყოფილიყო წყალი და მარტო ორდენებს კი არა, გმირთა ვარსკვლავსაც ავიბრწყინებდით მკერდზეო. ხოლო კოტე კოდანოვი და შალვა ბეგლარაშვილი რაიონის ხელმძღვანელობასთან იმის სამართლის საძებრად კი არ მიდიან, რომ სარწყავ წყალს არ მაძლევენ და ბოსტანი მიხმებაო, არამედ იმის, რომ წყალი თავზე გადაგვდის მარნებში გვიტბორდება და გვიშველეთ რამეო.

ასე რომ შრომისმოყვარე დოესელებს მარჩენალი მიწაც ბარაქიანი აქვთ და მაცოცხლებელი წყალიც უხვად მოუჩქეფთ, წელანგარა კაცი საბაბს ვერ მოიძებნის.

თუმცა წელანგარანი თითებზე ჩამოეთვლებოდათ თავიდანვე, მაგრამ ცოტა მიწის მუშა როდი გაურბოდა საკოლმეურნეო შრომას, ხოლო ახალგაზრდობის ნაწილმა სოფელს სულაც ადრიკა ზურგი და ქალაქისკენ ქნა პირი. ეს იმიტომ, რომ ყოფილ კოლმეურნეობაში ვერა და ვერ აეწყო საქმე ისე, რომ დოვლათ-ბარაქის შემქმნელი მუშა-ხელი ძალით კი არა, ნებით მიეზიდათ.

1976 წლიდან კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა საკავშირო დაქვემდებარების მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მაინც გაჭირდა მდგომარეობის შეცვლა. საბჭოთა მეურნეობის პირველმა თავკაცმა მიხეილ ჭონიაშვილმა მართლაც რომ ბევრი ოფლი ღვარა, როგორც თავად იტყვის ხოლმე, „ამოღებული ხმლით დადიოდა“, თუმცა თავისებური კვალი დაატყო მეურნეობის ეკონომიკასაც და თვით სოფელსაც, მაინც გაუძნელდა კეთილი განზრახვის ბოლომდე მიყვანა — „ურჯულონი მოერჯულებინა“, მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩაეყენებინა და სოფელსაც საკადრისი სახე მისცემოდა.

მეურნეობის ეკონომიკასაც, კაცის განწყობილებასაც საზოგადოებრივი საქმიანობისადმი და თვით სოფელსაც თვალში საცემი ფერისცვალება დაეტყო ბოლო წლებში, როცა საბჭოთა მეურნეობას სათავეში უდგას ამ სოფლის მკვიდრი — ამირან ხორბალაძე. იგი ადრე ხელმძღვანელობდა ამავე რაიონის კოდისწყაროს მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც, როგორც იტყვიან, ფეხზე დააყენა და მოწინავე მეურნეობად აქცია. მერე სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამუშავეს აგრონომად, შემდეგ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გადაიყვანეს უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. ასეთი გამოცდილებით მოევლინა მშობლიურ სოფელს.

როცა მატერიალური წახალისების მეთოდი უკეთ გამოიყენეს, მეურნეობის ერთგულნი და მოწინავენი ხომ უფრო წახალისდნენ და შრომა გაათკეცეს, ჩრდილის მოყვარულნიც გამოვიდნენ თაკარა მზეზე. წელანგარანიც გაფხოველდნენ, გაქალაქელებულთა დიდმა ნაწილმაც სოფლისაკენ იბრუნა პირი, მაგრამ მთლად და სამუდამოდ არა, მეურნეობის ნაკვეთები გაიპიროვნეს. მუშახელმა რომ იმრავლა მინდორსაც დაეტყო და მოსავალსაც, მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ზემოთაც ვთქვით, რაღა არ მოდის ამ დალოცვილ მიწაზე, წყალი რომ აღარ ენატრება, მაგრამ ამჯერად საბჭოთა მეურნეობას დაკისრებული აქვს დიდი ამოცანა: აწარმოოს ბოსტნეულის — ხახვის, სტაფილოს, ქინძის, კამის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლისა და ლობიოს თესლები.

დოესელებიც ყოველწლიურად აწარმოებენ ასი ტონა ბოსტნეულის თესლებს, რითაც უზრუნველყოფენ ოცი ათას ჰექტარზე მეტ საბოსტნე ფართობს. დოესელთა სიკეთე ითესება არა მხოლოდ კასპის რაიონის მიწაწყალზე, არამედ საქართველოს ბევრ რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც.

მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს აგრეთვე ხილის, მარცვლეულის, ყურძნის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

უხვად ჩამოითვლება მოწინავენი, მაგრამ პირველ რიგში ასახელებენ: შოთა ბაიდაურს, ოთარ შაქარაშვილს, მიხეილ აბრამიძეს, კარლო კოდანაშვილს, პავლე საკაშვილს, რაისა და საშა გოგიჩაშვილებს, ნანული შატაკიშვილს, ეთერ ახალკაცს, რევაზ გოგიჩაშვილს, დონარა ქასრაძეს, ლიდია ტურაშვილს, თინა ხორბალაძეს, გრუნა ჭრელაშვილს...

ბოლო სამ წელიწადში კერძო სექტორში წინა წლებთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 43 პროცენტით, ცხვრისა და თხის 67 პროცენტით, ახლა იშვიათად შეხვდებით ოჯახს, რომელსაც არ ჰყავდეს ღორი და ფრინველი. კოოპერირების სახით სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებენ 50 ტონამდე ფრინველის ხორცს.

მომძლავრდა საბჭოთა მეურნეობაც და მშრომელ კაცთა ოჯახებიც. ამირან ხორბალაძემ ახლა კი უფრო გაითამამა ფიქრი სოფლის გალამაზებაზე. სოფელი კი, რა დასამალია, კეთილმოუწყობელი იყო. ახალი უბნები თუ ესიამოვნებოდა ადამიანის თვალსა, ძველი უბნები კი ვერც ძველებური ეგზოტიკით მიგიზიდავდათ, ვერც გადაკეთებული აივნებითა და მიდგმული ოთახებით: ამის გამო სტკიოდათ გული დოესელებს, და ამირანმაც მოსვლისთანავე გაიზიარა ეს საწუხი, ჯერ აქტივს და მერე მთელ სოფელს გაუზიარა გულში ნადები — სოფელს ისეთი სახე მისცემოდა, როგორც მის მშრომელ ხალხს ეკადრებოდა. ეს კი სოფლის თითქმის ხელახლა აშენებას უტოლდებოდა. ამ თამამ განზრახვას „ამირანის გულში ნამღერი“ შეარქვეს.

ამირანი რწმენაშეუბზარავად მღეროდა გულში და ძმანიც ბანს ეუბნებოდნენ. ძმანი და მხარში მდგომნი კი სულ უფრო უმრავლდებოდნენ და საქმით უდასტურებდნენ ერთგულებას. უწინარესად სასმელ წყალზე დაიწყეს ზრუნვა.

სოფელი ხომ საერთოდ წყაროთიც ფასდებოდა. როცა დოესელი სასიძო სხვა სოფლის ქალიშვილზე დაიჭერდა თვალსა, ქალის მშობლებს, უფრო კი სასიდედროს, ფეხი უკან ედგათ: კარგი ვაჟკაცი ჩანს, მაგრამ ძაან მლაშე წყალი აქვთ და დოესში ქალს ვერ გავიმეტებო.

სამ დღე და ღამეს რომ ედუღა, ლობიოც ვერ იხარშებოდა. საჭმლის გასაკეთებელ და სარეცხისათვის საჭირო წყალს ან ზევით რუდან ეზიდებოდნენ, ანდა მტკვრიდან. სხვათა შორის, ეს ამბავი პატარძლების გამოცდის ერთგვარი საშუალებაც კი იყო, კარგი მეოჯახე საპატარძლოებიც დამწკრივდებოდნენ და კილომეტრებს კეცავდნენ სავსე კოკურებითა და გოზაურებით მხარზე შემოდგმულები...

სამი ათეული წლის წინათ მდინარე თეძმიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი, მაგრამ ისე მცირე იყო, რომ სოფლის შუა ქუჩებში ამოყვანილ ონკანებთან ისეთი გრძელი რიგები იდგა, როგორც ნავთის რიგები გვინახავს ომიანობის დროს. თავკაცთა მონდომებითა და მშრომელთა დაუზოგავი ოფლით მოკლე ხანში განხორციელდა 17 კილომეტრის სიგრძის ურთულესი ტრასის წყალსადენის გამოყვანა, რამაც დიდი სიხარული მოიყოლა თან — თითქმის ყველა ეზოში გაყვანილია წყალი. ახლა ჯარიმა დააწესეს იმ წელანგარა მაცხოვრებლებისათვის, ვინც წყალს არ გაიყვანს თავის სახლში.

მოკლე ხანში მოასფალტდა სამი კილომეტრის სიგრძის ქუჩები, აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი ასორმოცი ბავშვისათვის, მუშათა სასადილო, აბანო, წისქვილი, დეკორატიული კედლები. მთავარი ქუჩის ორივე მხარეს, ქუჩები განათდა დღის ლამპიონებით, საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხკილომეტრიანი მაღალი ძაბვის ელექტროხაზი, სასაწყობო მეურნეობა 3 ათას კვადრატულ მეტრამდე ფართობისა. დოესის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ გრაკალში აშენდა ბიბლიოთეკა და მაღაზია, 1983 წლის 9 მაისს კი იზეიმეს შინ მოუსვლელთა მემორიალის გახსნა. სოფლის შუაგულში აგებული მემორიალი მართლაც რომ ღირსეული ძეგლია. მაღალი სვეტების თავები ტაძრის კამარასავით მოთაღებულია და შარავანდედით მოსავს გმირებს, რომელთა გვარსახელები ჩამოწკრივებულია მემორიალის ფილებზე. თითქოსდა იმ თაღების ქვეშ ისმის დიდი პოეტის სიტყვები: „დიდება ხალხისთვის წამებულთ რაინდებს“.

კვლავაც მღეროდა ამირანი გულში, კვლავაც ბანს აძლევდნენ ძმანი მისნი და მთელი სოფელი.

მეურნეობის წინსვლისა და სოფლის განახლების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ პარტბიუროს მდივანს მზია შაქარაშვილს და მთავარ აგრონომს ჯემალ ბაიდაურს, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს პარმენ ოხანაშვილს და საშუალო სკოლის დირექტორს ვახტანგ აბაშიძეს. ამათ გარდა ბევრი ჩამოითვლება. თითოეულზე თითო ნარკვევიც უპრიანია, მაგრამ ამჯერად მოგვიტევონ. ალბათ, კვლავაც მოგვიხდება ამ სოფელზე კალმის ხელში აღება და მაშინ მოგვეცემა საშუალება მათი ღვაწლის წარმოჩენისა.

ამჟამად კი ისევ გავყვეთ ჩვენს არჩეულ ბილიკს. უფრო მართლად: გავყვეთ მათ საფიქრალს და საკეთებელს. ამჟამად დაწყებული აქვთ ამბულატორიის, აფთიაქის, კინოდარბაზის, სპორტული კომპლექსის, სასმელი წყლის მეორე რიგის მშენებლობა. გათვალისწინებულია სოფლის ზედა ქუჩის რეკონსტრუქცია, რისთვისაც ჩატარდება დიდძალი სამუშაოები. სოფელს, რომლის სიგრძე 2 კილომეტრი იქნება, სიგანე კი 1 კილომეტრზე მეტი, ექნება კანალიზაცია. და ეს ყველაფერი შორს გადადებული საქმე კი არა, მალე ხორცშესასხმელი გეგმებია, მზად არის ამ სამუშაოთა პროექტები და შეუდგებიან კიდეც მათ ასრულებას.

— კიდევ რას მღერი, გულში, ამირან? — ვეკითხები საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

— ბევრს სასიკეთოს! — მოკლედ მომიგებს იგი, — აი თუნდაც ურიგო იქნება, რომ ეს ორკილომეტრიანი მთავარი ქუჩა და შიგადაშიგ დიდი ქუჩებიც მთლიანად გადახეივნდეს?

მარტო საოცნებოდ არა აქვთ საქმე, სატკივარიც ბევრი უჩნდებათ მეურნეობის, საერთოდ სოფლის მეთაურებს და მათ მხარში მდგომთ. მთავარი კი ის არის, რომ ბევრ საქმეს ვერა სძლევენ, მუშახელი არ ჰყოფნით, ბევრი სოფლელი სხვაგან ილევს ჯანსა, მუქთახორებიც ხშირად გაივლ-გამოივლიან სოფელში, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნიცა. ამათ შემყურეს რწმენის კედელიც შეებზარებათ ხოლმე თავკაცებსაც და რიგით მეოფლეებსაც, ბევრჯერ ვერც სხვა მხრიდან ემართებათ ხელი, მაგრამ ეს ჩრდილიც გადაეყრებათ ხოლმე გულიდან, ისევ ამღერდება ამირანი გულში. ისევ ბანს ეუბნებიან ძმანი მისნი, ისევ ოცნებობენ და ჩვენც ვინატრებდით, კეთილად ახდენოდეთ საკეთილო ოცნება.

სოფელი დოესი, კასპის რაიონი

# მზემ ჩაიხედა ყვირილაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავთანდილ მეგრელიშვილი,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

ოთხი წლის წინათ, როცა ჭიათურის დაარსების 100 წლის თავი აღვნიშნეთ, საზეიმო განწყობას მეტი ელფერი შემატა მთავრობის ჯილდომ — შრომის წითელი დროშის ორდენმა, რომელიც ქალაქის დროშაზე მიაბნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

ახდა დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის სიტყვები: „იქ, სადაც დღეს არც გზაა და არც კვალი, რკინიგზა მოვა, ეს უდაბნო, ჭიათურა, გაშენდება, დაიწყება მარგანეცის მოპოვება“.

ჭიათურის მანგანუმის საბადო 1846 წელს აღმოაჩინა აკადემიკოსმა ჰერმან აბიხმა.

მეცნიერის მეცადინეობა, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ საუკეთესო ხარისხის ქართული მანგანუმის სამრეწველო მოპოვება, ამაო გამოდგა.

1879 წელს ჭიათურის მანგანუმით აკაკი წერეთელი დაინტერესდა.

გაისარჯა მგოსანი: ეახლა საცა ჯერ არს, ცა და ქვეყანა შეაწრიალა, მაგრამ ვერა გააწყო რა.

„ბევრი შრომა გავსწიე, დროც დავკარგე, ხარჯიც ძალიან დიდი ვნახე და შემწე არავინ მყოლია, არც საქმით და არც სიტყვით. მაგრამ რას ვამბობ, რისი შემწეობა, უმეტესობა ყიჟინას მაყრიდა, დამცინოდა და შეძლებისდაგვარად ხელსაც კი მიშლიდა. ხომ არ გაგიჟებულა, რომ მთებში ეხეტება და ოჯახი მიუტოვებიაო, რა შავ ქვას დაეძებსო“, — წერდა აკაკი წერეთელი ჟურნალ „კვალში“.

ერის მოჭირნახულე მგოსანმა კარგად იცოდა, რას და რატომ დაეძებდა.

ჭიათურის მანგანუმი წყალუხვი მდინარესავით თანდათან აზავთდა და თავისი საუკეთესო ხარისხით მალე ლამის იყო მთელი ევროპის ბაზარი დაიპყრო.

კუსტარული მეთოდით მოპოვებულ მადანს პირველად ურმებით ეზიდებოდნენ ზესტაფონში, იქიდან კი რკინიგზით გაჰქონდათ.

1895 წელს ჭიათურაში ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს.

მანგანუმის მადნის მოპოვების ზრდამ, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის სწრაფმა აღმავლობამ, დღის წესრიგში დააყენა ჭიათურაში ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის აუცილებლობა.

ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო და რამდენიმე წელიწადში დამთავრდა.

●

ჭიათურა ჩემი მშობლიური ქალაქია.

ყვირილის წარმტაც ხეობაში მოქცეულ ზემო იმერეთის ამ კოლორიტულ ქალაქთან ბევრი რამ მაკავშირებს.

თექვსმეტი წლის, ჰა და ჰა, ვიქნებოდი და არც ვიქნებოდი, როცა, სხვათა წახედულებით, გადავწყვიტე, მანგანუმის მადნის მნგრეველის მუზარადი დამეხურა და მამაჩემის კვალს გავყოლოდი.

— ვინ ხარ, ბიჭო, შენ? — მკითხა მაღაროთა სამმართველოს სახტად დარჩენილმა დირექტორმა, როცა ყვინჩილასავით გაჯგიმულმა რიხიანად შევაღე კაბინეტის კარი.

გავუწოდე განცხადება.

— აუ! — შეიცხადა ჭალარა დამხვდურმა, — რა გაუჭირდა ბარუსი მეგრელიშვილს, რომ ლლაპს მაღაროში სამუშაოდ აგზავნის, ჰა?!

როცა შეიტყო, რომ ჩემი გადაწყვეტილება მამამ არ იცოდა, ჩაფიქრებულმა დირექტორმა მკითხა:

— სწავლა?

— საღამოს სკოლაში ვისწავლი.

— აჰა! — დირექტორი წამოდგა და კაბინეტში შემოსულ ბრგე კაცს ჩემი განცხადება გაუწოდა.

ახლა უცნობი ჩამეძია კირკიტით:

— მართლა გინდა მაღაროში მუშაობა?

— აპა არა! — ჩავიბოხე ხმა, წავდგი ბიჯი და მოვჭერი, — არ მიმიღებთ აქანე, სხვაგან დავიწყებ მუშაობას.

პასუხი ლაკონური იყო:

— ვნახოთ. მამაშენს მოველაპარაკებით.

ოცდახუთი წლის წინათ, ასე გავიცანი ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ყოფილი დირექტორი შალვა პაქსაშვილი და მთავარი ინჟინერი აკაკი ფხალაძე.

ისინი აღარ არიან. მათ დიდ ამაგს, ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავენ ჭიათურელი მშრომელები.

რამდენიმე თვის შემდეგ, მამა, როგორც იქნა, დავიყოლიეთ. ისევ გავიჯგიმე, დავიხურე ჩაფხუტი, ავიღე თავი და ჭიათურელ მუშათა კლასის რიგებში ჩავდექი.

●

სამიოდე წლის წინათ, ჭიათურელისთვის რომ გეთქვათ, ყვირილაში მზე დავინახეო, — გაიღიმებდა:

— რავა გეკადრება, ბატონო, ჩაშავებულ მდინარეში რაფერ დეინახავ მზეს?!

ასე იყო ათეული წლების მანძილზე: ერწოს ტბიდან დაძრული ყინულივით ცივი ყვირილა ივლიდა, ჭიათურის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკამდე გაკამკამებული ჩარაკრაკდებოდა, წაიცხებდა მურს, მანგანუმის საწარმოო ნარჩენებში ამოიგანგლებოდა და რიონის შესართავამდე შავად ჩაყამული მიუყვებოდა გზას და წყალში გახსნილი ძვირფასი მადნის უამრავი შენარევი მიჰქონდა.

მოვიდნენ სპეციალისტები: აწონ-დაწონეს, გაზომ-გამოზომეს, ფლოტაციური გამდიდრებელი ფაბრიკის და შლამსაცავის მშენებლობა წამოიწყეს.

სამიოდე წლის წინათ, ერთმანეთის მიყოლებით მწყობრში ჩადგა შლამსაცავი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სატუმბო სადგურები.

დაიწყო ყვირილას გაფილტვრა. მანგანუმის ძვირფასი ნაწილაკები, რომლებიც წყალს მიჰქონდა, — ხალხის სამსახურში ჩადგა.

მომავალ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ე. წ. შებრუნებული წყალმომარაგების სისტემა, რომელიც მთლიანად აღკვეთავს მანგანუმის დანაკარგს...

მოჩხრიალებს ყვირილა.

მზემ ჩაიხედა მდინარეში.

●

— მწერლებს ციფრები არ უყვართ, — ამბობს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ომარ ხოფერია და ღიმილით დასძენს, — რა გზაა, ციფრები მაინც უნდა მოვიშველიო.

ძველ მაღაროელს ყურში თითქოს ნათლად ჩაესმის მანგანუმთან შეჭიდებული ჩაფხუტიანი მნგრეველების ომახიანი შეძახილი.

სასახელოდ უშრომიათ. გაერთიანება „ჭიათურმანგანუმმა“, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი და ორგანიზატორი მიხეილ აფაქიძე თავკაცობს, მიმდინარე წლის გასული თვის გეგმები წარმატებით გაანაღდა. სამშობლომ გეგმის გადამეტებით ასეული ტონობით მაღალხარისხოვანი მანგანუმის მადანი მიიღო.

მოწინავეებისათვის ტოლი არც კონცენტრატების მწარმოებლებს დაუდვიათ და არც გამამდიდრებელი ფაბრიკების კომპლექსებს.

ქალაქში თექვსმეტი სამრეწველო საწარმოა. ამ საწარმოებმა გასულ თვეებში მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმებიც გადაჭარბებით შესრულდა...

მშენებლებმა ისახელეს თავი. ზედიზედ დგება მწყობრში ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები, სპორტული მოედნები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები...

ჭიათურელებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს: ქალაქის ცენტრში გაიხსნა „მხატვრის სახლი“, რომელსაც რამდენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ნათელი საგამოფენო დარბაზი აქვს.

„მხატვრის სახლში“ უკვე მოეწყო ჭიათურელ მხატვართა გამოფენა. დამთვალიერებლები ყურადღებით ეცნობიან სტენდებზე გამოფენილ მასალებს, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულების 200 წლის თავს მიეძღვნა.

ხშირად გამიგონია, ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნო „შავი ოქროს“ ქალაქის გულიაო.

ის-ის იყო რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა ვახტანგ ჩხეიძემ მომავლის გეგმებზე წამოიწყო საუბარი, რომ კაბინეტის კარი აქოშინებულმა შავგვრემანმა კაცმა შემოაღო.

— გვიშველეთ! ამწე კრანს ჰანჭიკები მოწყდა... მუშაობა შეჩერდა... ვაგონები გადმოუტვირთავი დაგვრჩა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნოს სამაგრი მასალების საწყობის ეზო ხალხით გაივსო.

ვის არ ნახავდით აქ: მკლავებაკაპიწებული დატრიალდნენ მრანდავი სიმონ მესხი და მჭედელი მამია კევლიშვილი, ხარატი ბონდო ნოზაძე და ზეინკალი გიორგი ქურციკიძე, ძმები ვაჟა და ალექსანდრე ცუცქირიძეები...

დაზიანებულმა ამწემ ვაგონებიდან ბიგები ველარ გადმოტვირთა. მტვირთავები გაჩერდნენ, მანქანები დადგნენ, ბიგების მომლოდინე მუშები შეფერხდნენ.

რიტმული მუშაობის სწრაფად აღდგენა ახლა ცენტრალური ელექტრო-მექანიკური საწარმოს ოსტატთა სიზუსტესა და ოპერატიულობაზე იყო დამოკიდებული.

მოიძიეს მასალა, დააზუსტეს ზომები, გაჩარხეს ჰანჭიკები. მიიტანეს, მოარგეს. დადუმებული ამწე საათნახევარში ისევ გუგუნ-გუგუნით აახმიანეს.

ასეა თურმე მუდამ: ვისაც რა გაუჭირდება, შემწედ და გაჭირვების ტალკვესად ცენტრალურ ელექტრო-მექანიკურ სახელოსნოს იგულებს.

სახელოსნოში აკეთებენ ელევატორებს, ჯალამბარებს, ლითონკონსტრუქციის სამაგრებს. აქვე მზადდება საისრე გადამყვანი მოწყობილობანი, ელექტროძრავები, ტუმბოები ყვირილის გამწმენდ ნაგებობებისათვის.

სახელოსნო „კომუნისტური შრომის საწარმოს“ საპატიო სახელს ატარებს. სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის მრავალი ჯილდო, პრემია და მადლობა აქვს მიღებული...

●

ქალაქ ჭიათურას 15 სასოფლო საბჭო ეკვრის ირგვლივ, 17 კოლმეურნეობა, ორი საბჭოთა მეურნეობა...

წლევანდელი ჭირვეული ამინდის მიუხედავად, ჭიათურელმა მეჩაიეებმა კვლავაც სასახელოდ იშრომეს. გეგმის ზევით მათ ასეული ტონობით მაღალხარისხოვანი ნედლეული ჩააბარეს სამშობლოს.

1968 წელს შეიქმნა მეძეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც ითხვისის, პერევისის, უსახელოსა და ნიგოზეთის კოლმეურნეობები გაერთიანდნენ.

მეურნეობა ძირითადად მაღაროელთა მომარაგებას ემსახურება.

საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში.

პერევისის აგროუბნის № 4 ბრიგადის მეჩაიემ ვენერა წულუკიძემ წელს პირნათლად გაანაღდა ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს სასახელოდ იშრომეს მეჩაიეებმა ირინე დარბაიძემ, ნატალია დარბაიძემ და სხვებმა.

საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა წარმატებები კიდევ უფრო საჩინო იქნებოდა, ზოგიერთი მტკივნეული დაბრკოლება რომ დროულად მოგვარებულიყო.

ზამთარში მშრომელთა ბოსტნეულით შეუფერხებელი მომარაგებისათვის, 1978 წელს მეურნეობაში სათბურის მშენებლობა დაიწყეს. ობიექტი შარშან უნდა ჩამდგარიყო მწყობრში. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მუშაობა, წელს კი არა, მომავალ წელსაც საეჭვოა საქმისთვის თავის მობმა.

ჭიათურელთა სამართლიანი საყვედური, ვფიქრობთ, ყურად უნდა იღოს „საქსათბურმშენის“ № 8 ტრესტის ხელმძღვანელობამ.

წესრიგშია მოსაყვანი ავტოსატრანსპორტო პარკის სახელოსნო, მეცხოველეობის ფერმა, სოფელ ითხვისის აგროუბნის სასიმინდე, გზები.

●

ილვიძებს ქალაქი.

რონოდები მაღაროელებით გავსებულა. ქუჩებშიც ჩაფხუტებიანი მაღაროელები მოაბოტებენ.

დილის ცვლა ვახტზე დგება. იწყება რიგითი სამუშაო დღე. მაღაროებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება საქვეყნოდ ცნობილი ქართული მანგანუმი.

კამკამა ყვირილაში დილის მზე იჭვრიტება.





მწერალი ახალგაზრდა მკითხველებთან.

მწერალი სერგო კლდიაშვილი

სამუშაო კაბინეტში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო მირიანაშვილი

# ყოველივე სიყვარულისთვის

კლდიაშვილების წინაპარნი ყოფილან მესხეთის მკვიდრი შალიკაშვილები, რომელთა ქვეყნისა და მეფის წინაშე „ფრიადი გარჯის“ შესახებ ცნობა ჯერ კიდევ XI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებს შემოუნახავს. კლდიაშვილ-შალიკაშვილებს თავი უსახელებიათ, როგორც მეომრებსა და დიპლომატებს, რის გამოც სამკვიდროდ მიუღიათ სოფელი სიმონეთი იმერეთში, უფრო მეტიც — სამეფო სასაფლაო-ძვალთშესალაგში დამარხვის უფლებაც მოუპოვებიათ.

გადის დრო... კლდიაშვილთა გვარი საქვეყნო ასპარეზზე თანდათან უჩინარდება (ყოველ შემთხვევაში, საისტორიო დოკუმენტებში აღარ ჩანს) და მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მთელი სხივმოსილებით გამობრწყინდება დავით კლდიაშვილი — შვილი საკმაოდ ხელმოკლე აზნაურისა და რიგითი ოფიცერი რუსეთის არმიისა, გამობრწყინდება, როგორც დიდებული მწერალი და შთაგონებული მამულიშვილი.

სერგო კლდიაშვილის ბავშვობის დიდმა ნაწილმა ბათუმში გაიარა და სხვა ოფიცერთა შვილების წაბაძვით, თურმე თავადაც ოფიცრობაზე ოცნებობდა. მაგრამ სახელოვანი მამა უფრო უკეთ სჯიდა შვილის მომავალს და ოფიცრობაზე მეოცნებე სერგო ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტი, პირველი შემოქმედებითი ცდები, ფართო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და თვალსაჩინო მიღწევებიც.

სერგო კლდიაშვილს მხატვრული შემოქმედებისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე გამოუჩენია. უკვე ხანდაზმული მწერალი იგონებს: „ბავშვობაში ლექსებს ვწერდი, ვგზავნიდი ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ არც ერთი არ დაიბეჭდა. მაშინ ძალიან ვწუხდი, ახლა კი დიდად მადლობელი ვარ რედაქტორების და ცხონებას ვუგზავნი მათ სულს, რომ არ გამოაქვეყნეს“. ბავშვობის ასაკშივე დაუწერია პირველი მოთხრობაც, რომელშიც მისი ნაცნობი ოფიცრის „დენშჩიკის“ სენტიმენტალური თავგადასავალი ყოფილა აღწერილი. ცხადია, არც ეს მოთხრობა დაბეჭდილა, მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანა და 1911 წლიდან სერგო კლდიაშვილი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართველ მწერალთა ოჯახში.

დღეს, შეიძლება, ერთგვარ პარადოქსადაც ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ დავით კლდიაშვილის, ამ ბრწყინვალე რეალისტისა და ხალხის მოჭირნახულე მწერლის შვილი, სერგო კლდიაშვილი, თავიდან დეკადენტობას დაუკავშირდა და ერთ პირველ მინიატურაში „იყავი მარტო“ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან სრულ განდგომას და მარტოობას ქადაგებდა, მარტოობაში ხედავდა სიმშვენიერესა და ამაღლებას, სიდიადესა და მზესთან გატოლებას.

მწერლისათვის ეს მხოლოდ დროებითი ცდუნება იყო. ალბათ, ამის გამო უთქვამს დავითს შვილისათვის: „მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასდროს მიფოთიერებია. ჩემთვის მთავარია, რას და როგორ სწერ. თუ ნაწარმოები განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს... გულგრილობით შორს ვერ წახვალ, გადავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე, გადახედე, თუ ასე არაა!“.

სერგო კლდიაშვილი მალევე დადგა ჭეშმარიტი შემოქმედების გზაზე და შექმნა ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი ნაწარმოებები, რომელთაც ავტორს მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრეს. სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში მეოცე საუკუნის ისტორიული სინამდვილის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა მოვლენამ ჰპოვა მხატვრული ასახვა, რაც მთავარია, შთამბეჭდავად გვიჩვენა ჩვენი საუკუნის ადამიანთა დასამახსოვრებელი ხასიათები.

სერგო კლდიაშვილმა, ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება პირველ მსოფლიო ომს და გვიჩვენა მისი დამანგრეველი თვისება. ამ მხრივ საყურადღებო მხატვრული მოვლენაა ვრცელი მოთხრობა „ფერფლი“. მასში მწერალმა მთელი სისრულით გვიჩვენა, ერთი მხრივ, მშრომელი გლეხობის აუტანელი მდგომარეობა, მეორე მხრივ კი ფრონტზე ძალით გარეკილი ადამიანების განწყობილება.

სულ სხვა, ჭეშმარიტად პატრიოტულ განწყობილებას ამჟღავნებენ დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა პერსონაჟები. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც მოხუცი ნიკიტა მოთხრობიდან „ერთი მოხუცის ამბავი“, რომელმაც შეგნებულად გასწირა თავი სამშობლოსათვის.

მოთხრობაში „მყუდრო სავანე“ სერგო კლდიაშვილმა გვიჩვენა ის რთული ცხოვრებისეული პროცესები, რომლებიც თან ახლდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მწერალმა დამაჯერებლად დაგვიხატა კაპიტალისტური ელემენტების კვდომის, ბურჟუაზიული მორალის დათრგუნვისა და ახალი სინამდვილის ზეიმის სურათები. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენები შესანიშნავად არის გამჟღავნებული პერსონაჟთა ხასიათებში.

სერგო კლდიაშვილისათვის, როგორც მხატვრისათვის, უდიდესი მნიშვნელობის შემოქმედებითი გამარჯვება იყო მისი „სვანური ნოველები“, რომელთა თემა აღებულია სვანეთის ცხოვრებიდან. მწერალი რომანტიკულ ფერებში ხატავს სვანი ადამიანების რაინდულ სულს და მკითხველს ძალიან ბევრ რამეზე აფიქრებს. მწერალი ორიოდე გვერდზე ჭეშმარიტი ხელოვნების ენაზე მოგვითხრობს ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანების ცხოვრების ეპიზოდებს, გვახედებს მათს სულში და გვაყვარებს მათ. დაძაბული ინტერესით იკითხება ნოველები „ლაშხეთის ბატონი“, „მურზაყანი“, „უშგულ“, „ხალდე“, „მტრები“ და სხვა. ამ ნოველებში მომხიბლავად არის ნაჩვენები ძველის ნგრევისა და ახალი ცხოვრების დამკვიდრების კოლორიტული სურათები.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში ასახული ისტორიული წარსულის ეპიზოდები ბუნებრივად ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას და სოციალიზმის ეპოქის ახალგაზრდობას ზრდის გმირობისა და სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით. ამ მხრივ საყურადღებოა ნოველები „ერისთავი ცოტნე“ და „დირბელი მოყმის ამბავი“.

ადამიანის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულია ჩაქსოვილი მოთხრობაში „სერაფიტი“. მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს მდიდარ ისტორიულ წარსულს და თანამედროვეობას. ცხადია, არც წარსუ-

ლის მიმართ ამჟღავნებს ნიჰილიზმს, მაგრამ აშკარად შთაგვაგონებს თანამედროვე ადამიანებზე ზრუნვის აუცილებლობას. ამ ამაღლებულ განწყობილებას სერგო კლდიაშვილი მოთხრობის პერსონაჟი ექიმის სიტყვებით გვაცნობს.

სულ პატარა, ოთხი გვერდის მოცულობის მოთხრობაში „ჭინკა-ბიჭები“ მწერალმა გვიჩვენა სიცოცხლის მარადიული განახლების შთამბეჭდავი სურათები. მწერალი იგონებს, რომ სოფლის ერთ-ერთ ფერდობზე, ძველად გვიმრალი რომ ერქვა, აბესაძეები დასახლდნენ. სოფელი გაიზარდა. ლაზარე აბესაძის ხუთი ვაჟის ნაშიერმა სიცოცხლე შეიტანა გვიმრალში, მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და „ჭინკა-ბიჭების მამები, რუხ მაზარებში გადაცმულნი, შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვილჰელმთან საომრად...“ იქიდან ბევრი აღარ დაბრუნებულა.

დაიზარდნენ ჭინკა-ბიჭები, დავაჟკაცდნენ, სკივრებიდან ამოალაგეს მამების ჩოხა-ახალუხი და დაქორწინდნენ კიდეც. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, მაგრამ კვლავ დაიწყო ომი — ახლა უკვე სამამულო ომი და ამჯერად საომრად უკვე თვით ჭინკა-ბიჭები წავიდნენ, წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. ისინი სამშობლოს შეეწირნენ, მაგრამ მათ უბანში არ ჩამქრალა სიცოცხლე. რამდენიმე წლის შემდეგ სოფელში ჩასულ მწერალს კვლავ ესმის ბიჭების ყიჟინა. დავითვალე, ხუთნი იყვნენო. ამ ბიჭების ხილვას რაღაც უნაზესი მოგონება გაუღვიძებია და უკითხავს, ვინა ხართო. მათ კი თითქოს გაჰკვირვებიათ კითხვა და ერთ-ერთს, უფრო თამამს, უპასუხნია: „აბესაძეები ვართ, აგერ იმ უბნიდანო“. ეს გულის სიღრმემდე ახარებს მწერალს, არწმუნებს სიცოცხლის მარადიულობაში და ეს ჩვენშიც გადმოაქვს.

სერგო კლდიაშვილის სატირა მკვეთრია და სწორად დამიზნებული. მოთხრობაში „აპრილის საიდუმლო“ აფაკო ინწკირველის სახით მწერალმა შექმნა დასამახსოვრებელი სახე ბიუროკრატი კარიერისტისა.

სერგო კლდიაშვილმა ქართული დრამატურგიის განვითარებაშიც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი. მისი პიესები — „ირმის ხევი“, „უკანასკნელი რაინდი“, „მოგზაური მანდილოსანი“ წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ჟურნალ „პიონერის“ შეკითხვაზე: „რას ისურვებდით, ახლა რომ 14 წლისა იყოთ?“, უკვე ხანდაზმულმა და სახელოვანმა მწერალმა ასე უპასუხა: „ყველაზე უფრო ვინატრებდი, რომ თოთხმეტი წლის ასაკში ისევ რომანტიკოსი ვყოფილიყავი, ცხოვრების დიდი სიყვარული და მისი შეცნობის ძლიერი სურვილი მქონოდა, გონივრულად გამომეყენებინა თითოეული დღე და სპორტი არ უგულებელმეყო.

რამდენ ძვირფას, დაუბრუნებელ დროს უქმად ვხარჯავთ ახალგაზრდობაში!“

სერგო კლდიაშვილის შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ბავშვობიდანვე ცხოვრების დიდი სიყვარულითა და მისი შეცნობის ძლიერი სურვილით გამსჭვალულს გონივრულად გამოუყენებია ყოველი დღე და ამიტომაც ბევრი რამისთვის მიუღწევია. რაც მთავარია, მიუღწევია იმისათვის, რომ ქართველი ხალხი (და არა მარტო ქართველი ხალხი) ღრმა სიყვარულით, დიდი მადლიერების გრძნობით წარმოსთქვამს მის სახელს, დიდხანს სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებას უსურვებს დიდ მწერალს.

# ლექსები

## დინა ტერეშჩენკო

### კოკისპირული წვიმა

როცა ძლიერ წვიმს, როცა დიდხანს წვიმს,
გვსურს გადაიღოს მალე!
მე კი მგონია, რომ წვიმებს მიაქვთ
ჩვენი უთქმელი სევდა.
წვეთს მიაქვს ყველა დიდი ტკივილი,
წვეთ-წვეთობით რომ მოდის,
მოდის და სულში დაისადგურებს,
შენთან დაიდებს ბინას.
ჰოდა, ამიტომ ყველა ტკივილი
უნდა წაიღოს წვიმამ...
წვიმებო! მიწა გემორჩილებათ,
გემორჩილებათ ზღვები,
ოკეანეც და პატარა წყაროც
და სახურავიც სახლის.
წვიმებო, თქვენით არ აიმღვრევა
მდინარე, ზღვა და ფიქრი,
თქვენს შემდეგ მხოლოდ დაიწმინდება
ეს ჯავრიანი გული.
ნუ იტყვით — წვიმამ გადაიღოსო,
ელოდეთ მორიგ ქუხილს!
წუხილი მიაქვს, რაც დავაგროვეთ
შარშან, გუშინწინ, წუხელ...

თარგმნა **მზია ხეთაგურმა**.

## ალექსი ხუციშვილი

### დოქი

ახსოვს ცეცხლისგან დამწვარი ყანა,
წარსული სავსე ცრემლით და მოთქმით,
დოინჯშემოყრით ხვდებოდა მტარვალს
თავაწეული ლამაზი დოქი.

ჩვენამდე მოჰყვა ძველ საუკუნეს,
როგორ გადარჩა, როგორ წვალობდა,
ყურმიგდებული წყვილთა ჩურჩულზე
შემიმჩნევია სოფლის წყაროსთან.

შვენოდა გუთანს, ცხენსა და თონეს,
სარდაფში უქმად არასდროს ეგდო,
ნისკარტგაწვდილი უცდიდა ხოლმე
ჭაში ჩაფრენილ კრიალა ვედროს.

უენოს ფიქრი მესმოდა წრფელი,
გამგები ვიყავ მე მისი მიზნის,
ის საცეკვაოდ მოხრილი ხელით
იწვევდა ძმებთან ჩამოსულ ყირგიზს.

ვერ მოვუნახე ვერასდროს წუნი,
მერჩია ბროლისყელიან სურას,
სანატრელ სტუმრებს უკლავდა წყურვილს,
თითონ რომ ჰგავდა ძალიან მწყურვალს.

სარხერი.

## ჯიმშერ გოჯიაშვილი

### რომ დედამიწას...

აქედან მოჩანს მირაჟივით
ტურფა შორეთი,
არ შემოვზღუდავ ჩემს ეზო-კარს
ლოდის ყორეთი.

მაინც ცხრაკარა მირჩევნია
რომის კათედრალს,
რასაც მოსისხლე ლეწავდა და
ვერ კი გვართმევდა.

სვეტიცხოველი მირჩევნია
მაღალ ეიფელს,
წინაპრის ხმალი — განძეულს და
ოქროს სეიფებს.

ჩემი იორი გაახუნებს
ველურ ნიაგარს,
ყველა ქართველი განკურნებულ
ლუხუმს მიაგავს.

მაინც ჭინჭილა მირჩევნია
სხვის სავსე მარანს,
პურის ყუა და ნივრის ფოჩი
ყველასთვის კმარა.

ამიტომ ვუხმობ სიცოცხლის და
მშვიდობის ელჩებს,
რომ დედამიწას ძუძუებზე
მუდმივად შევრჩეთ.

• • •

სურვილს დავკიდე ჭრელი ხურჯინი,
თასმა დააწყდა რკინის ქალამანს,
გამოგეცხადე ეთიმ გურჯივით,
თუნდა დამწყევლოს შენისთანამა.

დავაგვიანე, მაინც მოვედი
საკურთხეველთან ძველი მლოცველი,
რომ გამიკითხო ცოტაოდენი,
რომ შეინანო წლები ოცნების.

იმედის სხივი, როგორც წერილი,
შენს პასუხამდე იცდის დაღლილი...
და ვიძირები კრეისერივით...
სიტყვადახლილი.

• • •

ყველას თავისი კილო აქვს,
ყველას — თავისი მარცვალი,
ყველას თავისი ცეცხლი აქვს,
ყველას — თავისი ნაცარი.
ზოგისთვის მიწა დედაა,
ზოგისთვის დედინაცვალი.

თიანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუში გოგონა.

ფოტო ანატოლი რუხაძისა.




მოსკოვის დელეგაციის ხელმძღვანელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი თბილისელ მოსწავლეებთან ერთად.

თბილისი.

1983 წელი,

30

ოქტომბერი.

















ეროვნული ბიბლიოთეკა

მთათუშეთი.

ფოტო ანატოლი რუხაძისა.

# ბულგარელი მეცნიერი... ივანე ბიწაძე

„საქართველო და ბულგარეთი ზღაპრული ფრინველის (ე. ი. შავი ზღვის) ორი ფრთა არის“, — ეს მეტად მომხიბვლელი მეტაფორული შედარება, რომელიც ჩვენს მკითხველს ალბათ ადრეც სმენია, უთუოდ ორი ქვეყნის ბუნებისა და ხალხთა ხასიათის მსგავსებამ დაბადა.

საქართველოს ბულგარეთთან ოდითგანვე ჰქონდა ურთიერთობა. 900 წლის წინათ იქ მოღვაწეობდნენ ქართველი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანისძე, პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი და ფილოსოფოსი იოანე — შემდგომში პეტრიწად წოდებული.

ქართველი მხედარი თუ ფილოსოფოსი ბულგარეთის ისტორიის სარბიელზე მომდევნო ეპოქებშიც გამოჩენილა. გავიხსენოთ, რომ ასი წლის წინათ ბულგარეთში მოღვაწეობდა პოლიტიკოსი, დიპლომატი, მეომარი, გიორგის 4 ჯვრის კავალერი, მწერალი ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი.

ამჟამად ბულგარეთში სამეცნიერო და საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობს სოფიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ფილოსოფოსი და ფილოლოგი ივანე ივანეს ძე ბიწაძე (დაიბადა 1924 წელს).

იგი ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტების, აგრეთვე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტის წარმომადგენელი, ასწავლის რუსულ ენას, გამოდის ლექციებით საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ქართულ-ბულგარული ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის საკითხებზე. არის ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პროგრამით განხორციელებული რიგი გამოკვლევების ხელმძღვანელი, სამეცნიერო კრებულების რედაქტორი, ფილოსოფიისა და ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის მონაწილე...

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ბულგარულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“, — ასეთია ივანე ბიწაძის საკანდიდატო დისერტაციის თემა. გამოქვეყნებული აქვს რუსთველოლოგიური ნაშრომებიც.

„დაბადებული და გაზრდილი ვარ ბულგარეთში, ძლიერ მიყვარს ბულგარეთი და მისი კულტურა. ბუნებრივია, რომ არანაკლებ მიყვარს მშობლიური საქართველო. მინდა, როგორც ორი ერის შვილმა, ჩემი ცხოვრება მათს მეგობრობას შევწირო“.

ამ პატრიოტულ განცხადებას ადასტურებენ სახელოვანი ქართველი მეცნიერები:

აკადემიკოსი **ალექსანდრე ბარამიძე:** „ივანე ბიწაძე ბულგარეთის მოქალაქეა, ბულგარელი მეცნიერი, ეროვნებით ქართველი. იგი არ წყვეტს კავშირს თავის დედასამშობლოსთან — მეცნიერული წრთობა მიიღო საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა და დაიცვა 1968 წელს, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ამჟამად ხანგრძლივი მივლინებით ჩამოვიდა საქართველოში და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს როგორც ლიტერატურის და ფილოსოფიის ინსტიტუტების, ისე უნივერსიტეტის სპეციალისტების ხელმძღვანელობით. შრომა თითქმის დამთავრებულია.

ივანე ბიწაძე ამასთანავე ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართულ-ბულგარული კულტურული ურთიერთობის დარგში. მისი რედაქციით გამოქვეყნდა ბულგარულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ბაკირჯიევისეული თარგმანი; მისივე რედაქტორობით, შესავალი წერილით და კომენტარით გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა კრებული, აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლების მოთხრობათა თარგმანები“.

აკადემიკოსი **გიორგი ჯიბლაძე:** „თხუთმეტი წელია, რაც თვალყურს ვადევნებ ივანე ბიწაძის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ვიცნობ მის ძირითად ნაშრომებს ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის დარგში. ქართული ენის ცოდნა მას დიდად ეხმარება ღრმად გაარკვიოს ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები — იგი ორიგინალებში იცნობს ჩვენს კლასიკოსებს. მან ასევე შეისწავლა თანამედროვე ქართული პოეზია. ჩვენი მკვლევარის ლიტერატურულ-მეთოდოლოგიური პოზიცია ღრმად მეცნიერული და თანამედროვეა. ივანე ბიწაძე დაკვირვებული მკვლევარია, ყოველთვის ფაქტიურ მასალას ეყრდნობა და განზოგადებაშიც ზუსტია.

ამ ცოტა ხნის წინათ გავეცანი მის უკანასკნელ ნაშრომს — სადოქტორო დისერტაციას („მხატვრული შემეცნების კანონზომიერებანი“) და კმაყოფილი დავრჩი“.


ეროვნული ბიბლიოთეკა







აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, ივანე ბიწაძე და აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

ანასტასია ქანთარია-ბიწაძე.

ქართული კულტურის მოამაგე ვესელო ნესტოროვა.

შეხვედრა ჯვარში.

პროფესორი **რევაზ სირაძე:** „ბიწაძეები ცხოვრობენ სოფიასთან ახლოს, გორნა ბანიაში. აქვთ მშვენიერი ოდა, ბოსტანი და ბაღი, სადაც ხარობს ვაზი, ლეღვი, ალუბალი, ვაშლი, ბროწეული... ეს ნამდვილი ქართული ეზო-კარია, რაც შეეხება საცხოვრისს, ისიც ქართველი კაცის გემოვნებით არის მოწყობილი. რა თქმა უნდა, აქ არის ბოტევი, პუშკინი, შექსპირი, მაგრამ მთავარი ადგილი ქართულ წიგნებს უკავია.

სწავლის სიყვარული შვილს დედამ — ანასტასია ქანთარიამ შთააგონა, თავიდანვე შეაყვარა ქართული წიგნი, რომელიც მას მუდამ თან დაჰქონდა და უკითხავდა.

ოჯახში ივანეს დის, მშვენიერი ელენეს და მამის, აგრეთვე ივანეს, ხსოვნას სათუთად ინახავენ. ისინი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ივანეც ანტიფაშისტურ მოძრაობაში იყო ჩაბმული...

დარბაზში ორი მხედრის — მამა-შვილის ერთად გადაღებული სურათი იქცევს ყურადღებას: ჩოხა-ახალუხიანი, ულვაშებიანი ვაჟკაცი, ნამდვილი იმერელი და ცქვიტი ჭაბუკი ბედაურებს მოაგელვებენ“...

როგორ აღმოჩნდნენ ისინი შავი ზღვის გაღმა ქვეყანაში?

ამ კითხვის და სხვა მრავალი კითხვის პასუხი ამ სტრიქონების ავტორისათვის, ისევე როგორც ბევრი დაინტერესებული პირისათვის, ცნობილი გახდა 1982 წლის 5 დეკემბერს, ახალ ქალაქ ჯვარში, რომლის საპატიო სტუმრებიც იყვნენ ბულგარელი მოქალაქენი: ივანე ბიწაძე, დედამისი ანასტასია — იგივე ფაფალა ქანთარია-ბიწაძე და მათი ოჯახის დიდი მეგობარი, ქართული კულტურის მოამაგე ვესელა ნესტოროვა.

პირველი სურვილი, რომელიც მათ ჩამოსვლისთანავე გამოაცხადეს, წინაპართა საფლავების მონახულება იყო.

მეორე დღეს ჯვარის კულტურის სასახლეში მოეწყო დაუვიწყარი შეხვედრა. თამარ ქანთარია, ლეილა ფიფია, დავით ფიფია, ალექსი ცხადაია, ვლადიმერ ქანთარია და სხვები ივანე ბიწაძის დედულეთის წარსულსა და აწმყოზე ჰყვებოდნენ.

აქვე, ენგურჰესის მშენებელთა ქალაქში, აღმოჩნდნენ თვალუეთელი (ჭიათურის საქალაქო საბჭო) ბიწაძეები — ივანეს ნათესავები: სილვა, ნათელა და იური. სილვა ქიმიის მასწავლებელია, მომდევნო და ნათელა ბაგა-ბაღის აღმზრდელია, უმცროსი ძმა — იური — მარკშეიდერი.

ბოლოს გამოვიდნენ ანასტასია ქანთარია-ბიწაძე, ივანე ბიწაძე, ვესელა ნესტოროვა და დამსწრეთა თვალწინ გაცოცხლდა ერთი ოჯახის ტკბილ-მწარე თავგადასავალი.

ამ საუკუნის დამდეგს მუსურყვა ქანთარიას და სალომე თორდიას ოჯახში შვიდი შვილი იზრდებოდა: თევდორე, ცაბუა, ფოტინე, მაქსიმე, დაფინო, ფაფალა და ოდიკი.

ფაფალა (ანასტასია) ერთხანს თავის უფროს დასთან — ცაბუსთან ცხოვრობდა ფოთში და ქალაქის სკოლის მეოთხე კლასში სწავლობდა.

ამ დროს მოხდა რევოლუცია. იმ მშფოთვარე დღეებში 12 წლის ფაფალა დასა და სიძესთან — თომა დადიანთან ერთად ევროპაში აღმოჩნდა.

გავიდა ხანი, მაგრამ ჯვარელი დებისა და ზუგდიდელი დადიანის ასავალ-დასავლის მცოდნე არავინ გამოჩნდა, ოჯახმა ყველანი დაღუპულად ჩათვალა და გამოიგლოვა.

ანასტასია ბედად მასავით სამშობლოდან მისდა უნებურად გადახვეწილ ქართველ ვაჟკაცს ივანე ბიწაძეს გაეცნო და ქალაქ სოფიაში დამკვიდრდა.

ივანეს საქართველოს ნახვა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. აქ, თბილისის უნივერსიტეტში, ეგულებოდა უფროსი ძმა — ფილოსოფოსი შალვა ივანეს ძე ბიწაძე.

და აი, სამოციან წლებში ბულგარეთში ჩავიდნენ ქართველი მათემატიკოსები, პროფესორები: ანდრია ბიწაძე და პოლიკარპე ზერაგია. სწორედ მათ დააკავშირეს ერთმანეთს თბილისელი და სოფიელი ძმები. 1967 წელს ივანემ პირველად ნახა უფროსი ძმა და საქართველო.

1968 წელს უკვე სამნი ეწვივნენ საქართველოს. მოინახულეს ნათესავები და მეგობრები.

შარშანდელი, მეოთხე ჩამოსვლა მაინც განსაკუთრებული იყო: ჯვარმა ბულგარელი სტუმრები თავის საპატიო მოქალაქეებად გამოაცხადა, ივანე ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა:

— მიხარია, რომ ერთ ჭერქვეშ ვარ თქვენთან, თორემ ადრეც სულით და გულით მუდამ თქვენთან ვიყავი. იქ, ბულგარეთში, მომდის ქართული გაზეთები და ჟურნალები, და როცა ვკითხულობ, რომ თქვენთან საქმე კარგად მიდის, მეც თავს კარგად ვგრძნობ. მუდამ ერთი გრძნობა, ერთი სურვილი მაქვს, აქაც და იქაც, ყველგან იყოს მშვიდობა.

**გვანჯი მანია,**
ჟურნალისტი.

# ჩვენი ხალხის მეგობრები

## გულის მარადი ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილმა პოლონელმა მოქანდაკემ სტანისლავ გორნო-პოპლავსკიმ დაბადების 80 წელთან დაკავშირებით მრავალი მილოცვა მიიღო თბილისიდან და ქუთაისიდან.

„საქართველო ჩემი სამშობლოა, რომლის მიწა-წყალზე დავიბადე და გავიზარდე, რომელთანაც მაკავშირებს გულის მარადი ხსოვნა. ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი ქართველებს, მათ გასაოცარ სტუმართმოყვარეობასა და სულიერ სიმდიდრეს. ქართველებისათვის დამახასიათებელია შინაგანი სილამაზე, რომელსაც ისინი დედის რძესთან ერთად შეიწოვენ ხოლმე. ამ თანდაყოლილმა ნიჭიერებამ ყველაზე მეტად დამიმორჩილა...“ — ეს სიტყვები ეკუთვნის სტანისლავ გორნო-პოპლავსკის.

პირველად ეს გასაოცარი ბედის ადამიანი 1966 წელს გავიცანი თბილისში მის პერსონალურ გამოფენაზე. შემდეგ პოლონეთში, სოპოტში შევხვდი, მერე კვლავ თბილისში ვნახეთ ერთმანეთი.

ამჟამად იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდგორშჩში, პოლონეთის მოზრდილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში.

სტანისლავ გორნო-პოპლავსკის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. 1863-1864 წლებში პოლონეთის აჯანყებამ რომ იფეთქა, მეფის მთავრობამ ბევრი მისი მონაწილე კავკასიაში გადმოასახლა. მათ შორის იყო სტანისლავის პაპაც. იგი ქუთაისში დამკვიდრდა, იქ გაატარა გუბერნიის ექიმმა მთელი თავისი სიცოცხლე. მამას ბედმა სულ სხვა ცხოვრება არგუნა, პოლონელი მეამბოხის ვაჟი მეფის არმიის ოფიცერი გახდა და ერთ-ერთ ლეგიონში დაიწყო სამსახური.

სტანისლავ გორნო-პოპლავსკი დაიბადა ქუთაისში 1902 წელს, წერეთლის ქუჩაზე (ყოფილი ბალახვანის), დღესაც კარგად არის შენახული ერთსართულიანი აგურის შენობა, სადაც გორნოვები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით სტანისლავმა გააერთიანა დედისა და მამის გვარები და გორნო-პოპლავსკი გახდა.

მალე მათი ოჯახი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა. 20-იან წლებში კი სტანისლავი მშობლებთან ერთად პოლონეთში დაბრუნდა. 1923-1930 წლებში სწავლობდა ვარშავის სამხატვრო აკადემიაში, თავის ოსტატობას ხვეწდა პარიზსა და იტალიაში, შემდეგ მოსკოვში, ცნობილ ფერმწერსა და გრაფიკოსთან ს. მალიუტინთან.

დიდი სამამულო ომის დროს პოლონეთის არმიის ოფიცერი მამაცურად ებრძოდა ფაშისტებს, დაიჭირა კიდეც. საკუთარ თავზე გამოსცადა ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკის ჯოჯოხეთური წამება. საბჭოთა მეომრებმა იგი იხსნეს ათიათასობით პოლონელ პატრიოტთან ერთად.

სტანისლავს გერმანელების მიერ დანგრეული ძველი ქალაქის გდანსკის მთავარ მხატვრად ნიშნავენ. ახლა ქალაქის მთავარ თალზე მის სხვა აღმდგენლებთან ერთად არის სტანისლავ გორნო-პოპლავსკის სკულპტურული პორტრეტიც.

გდანსკის უმაღლეს სამხატვრო სახელმწიფო ინსტიტუტშიც აღზარდა პროფესორმა გორნო-პოპლავსკიმ ყალმისა და საჴრეთლის მომავალი პოლონელი ოსტატების არაერთი თაობა.

საქართველოს თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში. მახსოვს, რვა წლის წინათ ვარშავის ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში ქართველი ტურისტების ყურადღება მიიპყრო გრანიტზე შესრულებულმა უჩვეულო სკულპტურულმა კომპოზიციებმა. სტანისლავ გორნო-პოპლავსკის პერსონალურ გამოფენაზე გამოირჩეოდა ორიგინალური ნამუშევრები: „შოთა რუსთაველი“, „ნიკო ფიროსმანი“, „მთიელის თავი“ და სხვები. სკულპტურული პორტრეტი „შოთა რუსთაველი“ და „ნიკო ფიროსმანი“ პირველი პრემიებით აღინიშნა.

გორნო-პოპლავსკის ადამ მიცკევიჩის მონუმენტური ფიგურა ამშვენებს ვარშავას, ეროვნული გმირის ჰენრიკ სპიკევიჩის ძეგლი — ბიდგოშჩს, მარხლევსკისა — ვროცლავს, კოპერნიკისა — ტორუნს.

ს. გორნო-პოპლავსკის მთელი საქართველო აქვს მოვლილი. მდინარე ტეხურის სათავეებთან აღმოაჩინა მან ბუნებრივად დამუშავებული გრანიტი და მისგან ქალის ორიგინალური პორტრეტი შექმნა, რომელსაც „ტეხური“ უწოდა. იგი მოქანდაკემ უძღვნა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეას. მშობლიურ ქუთაისს აჩუქა კომპოზიცია „ქართველი ქალის თავი“.

ს. გორნო-პოპლავსკის ხელოვნების შედევრია ვ. ი. ლენინის ქანდაკება, რისთვისაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ის, რაც სტანისლავმა და მისმა მშობლიურმა ხალხმა გადაიტანა, სამუდამოდ აღიბეჭდა მხატვრის გულსა და შემოქმედებაში.

სტანისლავ გორნო-პოპლავსკის ხელოვნება მუდამ იცოცხლებს არა მარტო პოლონეთში, არამედ საქართველოშიც, სადაც მას ჰყავს ბევრი თაყვანისმცემელი და მეგობარი.

**ლევან დოლიძე**

# მუსიკა — ჩემი სიყვარული



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა და შვილი

**მერი გაბრიაძე**

პაატა ბურჭულაძეს არ უფიქრია, რომ პროფესიონალი მომღერალი გახდებოდა, თუმცა მუსიკა პატარაობიდანვე უყვარდა და მუსიკალური ათწლედიც დაამთავრა. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა, ეშენებინა ახალი ქალაქები, ლამაზი სახლები. ამიტომაც შევიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, აპირებდა, გაჰყოლოდა მამის კვალს. პარალელურად სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში ვოკალის განყოფილებაზე.

მომღერლის გზა კი თავისთავად დაიწყო... დედის მოსიყვარულე გულსა და ყურადღებიან თვალს არ გამოპარვია შვილის განსაკუთრებული ნიჭი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგ დიზი ხელაშვილთან გატაცებით მეცადინეობამაც ხომ ბევრად განსაზღვრა პაატას მომავალი.

1978 წელს პაატა ბურჭულაძემ წარმატებით დაამთავრა ორი უმაღლესი სასწავლებელი და მიიღო მშენებელი ინჟინრისა და ვოკალისტის დიპლომი.

თხუთმეტი წლისამ საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების დასკვნით კონცერტზე, საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯემალ გოკიელი დირიჟორობდა, შეასრულა ცანგალას კუპლეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" და მეფისტოფელის არია გუნოს „ფაუსტიდან". ნორჩ მომღერალს ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა.

პაატა ბურჭულაძის ნიჭი ჭეშმარიტად გაიფურჩქნა თბილისის კონსერვატორიაში. ძლიერი ლამაზი ხმით (პროფუნდოს ბანით) და ფაქიზი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული პაატა გატაცებით სწავლობს და უკვე მესამე კურსზე ასრულებს მეფისტოფელის არიას სტუდენტურ სპექტაკლ „ფაუსტში". წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ოცდაორი წლის პაატა, მეოთხე კურსის სტუდენტი, უყოყმანოდ მიიღეს სოლისტად თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. დებიუტი დიდ სცენაზე ბედნიერი გამოდგა. ახალგაზრდა მომღერალმა შეასრულა ტარიელ შერვაშიძის პარტია ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება".

საკუთარ თავზე შეუპოვარი მუშაობა, ბუნებრივი მონაცემების სრულყოფა, საოპერო ხელოვნების დაუცხრომელი წვდომა იმით დაგვირგვინდა, რომ მეხუთე კურსის სტუდენტი საბჭოთა მომღერლების ჯგუფთან ერთად გაგზავნეს მილანის „ლა სკალას" ვანთქმულ თეატრში. ამ წლებს მომღერალი თავისი ცხოვრების საინტერესო, ულამაზეს პერიოდად თვლის.

იქ მან იტალიურ ენაზე შეასრულა თავისებური, სრულიად ორიგინალური პარტიები ვერდის ოპერებიდან — ფილიპის („დონ კარლოსი"), რამფისისა („აიდა"), ფიესკოსი („სიმონ ბოკანეგრა"), პადრე გვარდიანო („ბედის ძალა").

ქართველი მომღერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში პირველი სერიოზული გამოცდა იყო კონკურსი „ვერდის ხმები" იტალიის ქალაქ ბუსეტოში — ჯუზეპე ვერდის სამშობლოში. კონკურსის პროგრამაში შედიოდა ხუთი პარტია ვერდის ოპერებიდან. თანაც მომღერალს მხოლოდ გამოსვლის წინ აცნობებდნენ, რომელი არია უნდა შეესრულებინა. ჟიურიში შედიოდა სხვადასხვა ქვეყნის ვოკალის ხელოვნების 16 თვალსაჩინო ოსტატი, მათ შორის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ირინე არხიპოვა. ჟიურის სათავეში ედგა განთქმული იტალიელი ტენორი კარლო ბერგონცი. დასკვნით მესამე ტურში დაუშვეს ოთხი ბანი (სულ კონკურსში 18 ბანი მონაწილეობდა). პაატა ბურჭულაძე კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო. მან მეორე ადგილი გაიყო იაპონელ ტენორ ტარო იკიარასთან ერთად (პირველი პრემია არავის არ მიჰკუთვნებია). გამარჯვებულთა სადღესასწაულო კონცერტზეც მილანის პიკოლო-სკალაში, განთქმული „ლასკალას" მცირე დარბაზში, მან შეასრულა ატილის არია. მომღერალი ათჯერ გამოიძახეს სცენაზე. მეორე დღეს კი გაზეთი „კორიერე დელა სერა" წერდა: „საგანგებოდ უნდა გამოვარჩიოთ პაატა ბურჭულაძის შესანიშნავი ხმა, მისი ჭეშმარიტად ლამაზი პროფუნდოს ბანი, რომელიც მსოფლიო აღიარებას მოიხვეჭს".

სულ ერთი წელიც არ გავიდა და პაატა ბურჭულაძემ კვლავ გაახარა თავისი ნიჭის თაყვანისმცემლები. 1982 წლის 7 ივლისი განსაკუთრებული თარიღია მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამ დღეს, პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატს პაატა ბურჭულაძეს პირველი პრემია და ოქროს მედალი მიენიჭა.

მდიდარია მომღერლის რეპერტუარი. მშობლიური თეატრის სცენაზე მან შეასრულა არიები: დონ ბაზილიოსი — როსინის „სევილიელ დალაქში", მეფისტოფელისა — „ფაუსტში", რენესი — „იოლანტაში" და გრემინისა — ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში", ტარიელ შერვაშიძის — ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში". ახლა იგი ამზადებს ბორისის პარტიას მუსორგსკის „ბორის გოდუნოვში". ახლახან მსმენელი გაეცნო მომღერლის კიდევ ერთ ნამუშევარს — ეს არის ლეპორელოს პარტია მოცარტის ოპერაში „დონ ჟუანი". მოსკოვის ფირმა „მელოდია" უშვებს პაატა ბურჭულაძის ფირფიტა-გიგანტს. მომავალი წლის გაზაფხულზე პაატა მონაწილეობას მიიღებს რუმინეთის, ბულგარეთისა და ინგლისის თეატრების სპექტაკლებში.

ახალი პარტიების მომზადება, მოკავშირე რესპუბლიკების საოპერო სცენებზე გამოსვლები, გასტროლები საზღვარგარეთ... მაგრამ რაოდენ მოუცლელიც უნდა იყოს პაატა ბურჭულაძე, მისთვის მაინც უმთავრესი ჩვეულებრივი სიმღერის გაკვეთილია: ხმა მუდამ „ფორმაში" უნდა იყოს, რათა ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე და უფრო სრულად გამოხატოს მუსიკაში ჩაქსოვილი შინაარსი. აქ კი ფასდაუდებელია მისი კონცერტმეისტერის ლუდმილა ივანოვას ღვაწლი.

ბრწყინვალე ინტერპრეტატორად მოგვევლინა ქართველი მომღერალი მიმდინარე წლის თებერვალში რომში, სადაც „სანტა ჩეჩილიას" სცენაზე შეასრულა მატოს პარტია მუსორგსკის ოპერაში „სალამბო". ოპერას დიდი წარმატება ხვდა წილად. გაზეთი „ტემპი" წერდა: „საღამოზე დასწრება თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ მოგვესმინათ შესანიშნავი ხმები. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვარჩიოთ პაატა ბურჭულაძის დიდებული ბანი, რომელმაც მოაჯადოვა მსმენელი ხავერდოვანი ხმითა და პროფუნდოთი მატოს პარტიაში".

პაატა ბურჭულაძეზე მართლაც ზედგამოჭრილია იგორ სტრავინსკის სიტყვები: „მუსიკაა მთელი ჩემი ცხოვრების საზრისი". მისი სამუშაო დღე ადრე იწყება და გვიან მთავრდება. სპექტაკლები, რეპეტიციები — ყოველივე ამას ხომ დრო სჭირდება. იგი თეატრის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანია.

პაატას აქვს კიდევ ერთი საყვარელი გატაცება: ნადირობა და თევზაობა. ბავშვობისას საქართველოს ნორჩ წყალბურთელთა ნაკრების, ხოლო შემდეგ „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდის წევრი, იგი თავისი ლამაზი თამაშით ახარებდა გულშემატკივრებს. ახლა პაატას შეუძლია საათობით იხეტიალოს მთაში.

და როგორ გინდა მშვიდად იცხოვრო, როცა ოცდა რვა წლისა ხარ, როცა ყოველი პარტია აღმოჩენაა და ყოველი გასვლა სცენაზე — კიდევ ერთი საფეხური ოსტატობისა?

# ქართული სიტყვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა გიორგობიანი,
„დროშის“ სპეციალური
კორესპონდენტი

ნისლი დასწოლია ყვარლის მთებს, მძიმე, მოუცილებელი ნისლი. ქვემოდან ნათლისმცემლის ეკლესია უდგას დარაჯად დიდი ილიას ნააკვნარს, დედ-მამის საფლავის სითბოსა და ნათელ სხივს ასე სათუთად რომ უნახავს. ილიას გორა ფიქრიანად დასცქერის განახლებულ ყვარელს...

როცა წინაპრებისაგან აგებული კოშკის მეორე სართულზე ილია დაიბადა, იმ დროს პირველი და მესამე სართულიდან ყვარლელები მომხვდურ ლეკებს იგერიებდნენო. ეტყობა, ერის სულიერ მამას დაბადებიდანვე უნდა გაეზიარებინა ერის მძიმე ხვედრი. მაშინ ვინ იცოდა, რომ საქართველოსათვის ეს ადგილი იქცეოდა უპირველეს წმინდა მიწად...

დღეს ვინ შეძლებს, გულგრილად შედგას ფეხი ამ ეზო-კარში, სადაც დიდ ილიას დაენათლა მშობლიური მთების სიდიადე, ალაზნის სიდარბაისლე და დურუჯის ბობოქარი სული. სადაც პირველად იგრძნო მან, რა ძალა აქვს მიწაში ღრმადფესვგადგმულ სამასწლოვან კაკლის ხესა და მამაპაპურ მადლს, სამშობლოს მთასა და ცას...

პირველად 1938 წელს გაიხსნა მწერლის მშობლიურ სახლში ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც 1943 წელს სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა. სამუზეუმო საქმე ახალი დაწყებული იყო საქართველოში და დიდი შრომა დასჭირდა მაშინდელ დირექტორს, განათლებულ და გულითად ადამიანს პლატონ კეშელავას. 1961 წლიდან მუშაობს მუზეუმში ახლანდელი ხელმძღვანელი, ლიტერატორი და მოღვაწე ილო ბეროშვილი.

1978 წლიდან ჩადგა მწყობრში ახალი შენობა — საგამოფენო დარბაზი (ავტორები: ვიქტორ ჯორბენაძე და ქეთევან კობახიძე).

მძიმე, მოჩუქურთმებული კარით შევდივართ საგამოფენო დარბაზის მისაღებში. აქ თეთრი და შავი ფერების თამაშით და დიდ ორიგინალურ ჭაღს ზემოთ ფერადი მინების ოსტატური გამოყენებით არის მიღწეული მიზანი — თითქოსდა განდეგილის სენაკში ვხვდებით. აქედან მიხვეულ-მოხვეული სრიალა „ცხოვრებისეული ბილიკით“ ავდივართ შენობის მეორე სართულზე, სადაც მოწყობილია გამოფენა.

დათვალიერება იწყება მწერლის მშობლიური ეზო-კარის მაკეტით, აღდგენილია ის პერიოდი, როცა ილია დაიბადა. ოროთახიანი აივნიანი სახლი, გვერდზე მიდგმული მარნით, წისქვილი, სამსართულიანი კოშკი, სასიმინდე...

გრძელი დარბაზის ფოტოგამოფენა მოგვითხრობს დიდი მწერლის ცხოვრებაზე, აცოცხლებს მისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. შიგა და შიგ გაბნეულია ადგილები მწერლის ნაწარმოებებიდან, წერილები, გამონათქვამები. ყველაფერი ეს შესანიშნავად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს, მამულიშვილს, ადამიანს... აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ილიას წერილს გიგო აფხაზისადმი, როდესაც ამ უკანასკნელს გადაუწყვეტია ვენახი ჩამოერთმია ერთი გლეხისათვის: „გიგო, ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან, არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზე მე თანახმა არა ვარ“.

ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმი არის შესანიშნავი კულტურული კერა, რომელიც მარტო ყვარლელებისათვის არ უნდა არსებობდეს. მუზეუმს აქვს ძვირფასი ფონდები, რომლებიც ელის სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას. რატომ არ შეიძლება, ამ მუზეუმში მომზადდეს შრომები, მოეწყოს პირველი წიგნის განხილვა, მოხდეს შემოქმედებითი გზის დალოცვა... ბევრი ცოცხალი, საინტერესო შეხვედრაა შესაძლებელი ამ კედლებში, სადაც უნდა სჩქეფდეს და დუღდეს მთელი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება. თავიანთ ყურადღებას არ უნდა აკლებდნენ ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმს ქართველი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები.

●

გრემი. კახეთის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი. ისიც ვერ გადაურჩა მტრის ხელს. აღიგავა მიწისაგან პირისა მეფეთა პალატები თუ სავაჭრო დარბაზები. მხოლოდ მდინარე ბოლიასა და ინწობას თუ ახსოვთ მათი ბობოქარი ცხოვრება, ცისფერი აგურით ნაგები ღვთისმშობლის ეკლესიის ათინათი. ყველაფერ ამაზე ისინი ლამლამობით დუმილით საუბრობენ მთის წვერზე შემდგარ სამების ეკლესიის ნანგრევებთან. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ვინც დღეს ყვარლიდან თელავისაკენ მიმავალ გზაზე ერთხელ მაინც ჩაივლის და შეხედავს თითქოს მიწის გულიდან ამოზიდულ გრემის ეკლესიას, არ შეიძლება, გზიდან არ გადაუხვიოს, არ აუყვეს მის აღმართს და სული არ დაიმშვიდოს მის სუფთა, მწვანედ აბიბინებულ ეზოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ აქ 1981 წელს დააარსა მუზეუმი-ნაკრძალი (დირექტორი მირიან ბუჭიაშვილი).

...იმ დღეს სტუმრებს მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ანა ქემოკლიძე მეგზურობდა. იგი გატაცებით საუბრობდა გრემის ფრესკებზე. თვითონ გრძნობდა, თვითონ განიცდიდა ტაძრის ყოველ აგურს, სამრეკლოსაკენ მიმავალ ყოველ საფეხურს...

●

სოფელ საბუის სკოლის სააქტო დარბაზში ფუსფუსია. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ამ შეხვედრის ორგანიზატორებს, აღელვება ეტყობათ. წამდაუწუმ სადღაც გარბიან, მერამდენედ აწესრიგებენ საგანგებოდ მოწყობილ მაგიდაზე ყვავილებს. თეთრბაფთიანი, მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ბავშვები კუთხეში მიმდგარან და რაღაცას იმეორებენ.

— მოდიან! — დაიძახა ვიღაცამ.

ყველაფერი მიყუჩდა, ყველამ დაიკავა თავისი ადგილი. ეზოსა და დერეფანში ჩამწკრივებული გოგო-ბიჭები ფეხქვეშ ყვავილებს უფენენ სტუმრებს — მოდიან სამამულო ომის ვეტერანები: ირაკლი დვალი, მიხეილ დოლონაძე, იოსებ შელვიაშვილი, ალექსი გუროშვილი. ფეხზე დგება დარბაზი. ტაშით ეგებებიან ომგადახდილ ვაჟკაცებს.

რაც იმ დღეს გულწრფელი სიტყვა ითქვა და წმინდა ცრემლი დაიღვარა, ყველაფერი წინ სანთლად წარუძღვება საბუის მომავალ თაობას.

ყვარლის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივს რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ეწვივნენ. „გადაიფურცლა“ ზეპირი ჟურნალი — „საუკუნეობრივი მეგობრობა“. გულთბილი იყო შეხვედრა. ჟურნალის პირველი გვერდები დამსწრეთ მოუთხრობდნენ გეორგიევსკის ხელშეკრულების შესახებ. თანდათან გაღრმავდა საუბრის თემა, გაცოცხლდა ისტორიის ფურცლები — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ძირები, ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა... და როცა საწარმოს მუშაკები სამადლობელ სიტყვას ეუბნებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, მასპინძლებმა აღიარეს, რომ იმ დღემ ბევრი რამ შემატა თითოეულ მათგანს.

—ასეთი შეხვედრები ჩავატარეთ,— გვეუბნება რაიონული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი დოდო სეფაშვილი,— ქინძმარაულის ღვინის ქარხნის გაერთიანებასა და ენისელის მეფრინველეობის ფერმაში, სოფელ გრძელჭალაში. განსაკუთრებით შევხვდით კურორტ „ოქტომბრის“ დამსვენებლებს. ცისქვეშ, აშოლტილი ხეების გარემოცვაში მოისმინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ადამიანებმა ჩვენი მოკრძალებული სიტყვა.

რაიონის 46 მასობრივი ბიბლიოთეკა 244.886 წიგნადი ფონდით წელიწადში ათასობით მკითხველს ემსახურება. ორად-ორ სოფელს არა აქვს ბიბლიოთეკა — გრძელ ჭალასა და საცხენეს, ესეც მოსახლეობის სიმცირის გამო. ორივე სოფელს ავტობიბლიოთეკა ემსახურება.

ამ ბოლო წლებში რვა ბიბლიოთეკა მოთავსდა ახალ შენობაში, ეს-ესაა ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ დაიდო ბინა. მაგრამ მოსაგვარებელი მაინც ბევრია. ჯერ კიდევ არის ბიბლიოთეკები დაქირავებულ შენობებში.

— არის სერიოზული პრობლემა,— გვეუბნება რაიონის კულტურის განყოფილების გამგე კოხტა ბაბლიშვილი, — ბიბლკოლექტორი ბევრ სიძნელეს გვიქმნის. ნაკლებად გვიწილებს მხატვრულ ლიტერატურას ერთი-ორი წიგნი რას გასწვდება ამდენ ბიბლიოთეკას. განსაკუთრებით გვაკლია სასოფლო-სამეურნეო წიგნები, რაც ჩვენს რაიონს ასე სჭირდება. დიდი მოთხოვნილებაა სახელმძღვანელოებზე, რომლებიც განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის, სტუდენტებისათვის. ახალგაზრდობას თუ არ ექნება ყველა საჭირო ლიტერატურა, გული არ დაუდგება სოფლად. ეს კი, მოგეხსენებათ, რა დანაკლისია...

ვფიქრობთ, ამ გულისტკივილს შველა უნდა და არამარტო ყვარელში. ვისაც რაიონების წიგნით მომარაგების საქმე ეხება, ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ამ მეტად სათუთი, და, უნდა ითქვას, სასიცოცხლო საკითხისადმი.

●

ისმის რიტმული, წყნარი, ვაჟკაცური ხმა. ამას მოსდევს შეწყობილი, მომაჯადოებელი მელოდია. მღერიან ბავშვები. გულმა წამსვე იქით გაგვიწია, ყვარლის კულტურის სახლის მცირე დარბაზისაკენ.

ფორტეპიანოსთან ზის ახალგაზრდა. გატაცებით უკრავს, თან დაძაბული ადევნებს თვალყურს თითოეული ხმის მოძრაობას. ბავშვები ცდილობენ, კმაყოფილი დარჩეს მასწავლებელი...

დარბაზის ბოლო რიგზე ახალგაზრდა ქალი ზის. მას ხელები მუხლებზე დაუწყვია, წელში რაღაც დიდ გან-

ცდას მოუხრია და მთელი გულით და გრძნობით დგას იქ, ბავშვებთან... პირველი აზრი, რაც შეიძლება, მოუვიდეს ამ სურათის მხილველს: რომელიმე ბავშვის დედა ესწრება მეცადინეობას. გამოირკვა სულ სხვა. ნანა გოცირიძე პირველი საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელია და მეექვსეკლასელთა ხელმძღვანელი. მან შეატყო თავის აღსაზრდელებს მუსიკალური ნიჭი და მაშინვე კულტურის სახლის დირექტორთან ალექსანდრე ჩიხიაშვილთან გაჩნდა:

— ჩემი ბავშვები შესანიშნავად მღერიან. ნუ დაიზარებთ, ამეცადინეთ ისინი.

მაშინვე დაინიშნა მეცადინეობის დღეები. იქნებ ვინმემ იფიქროს, ბევრი თავისუფალი დრო აქვსო, ახალგაზრდა ხელოვანს. არა. საქმეს და საზრუნავს რა გამოლევს. კულტურის სახლი სარემონტოა. მოსაგვარებელია ბევრი სამეურნეო და ადმინისტრაციული საკითხი. გარდა ამისა, იგი ხელმძღვანელობს საესტრადო ანსამბლ „დურუჯს" (თვითონვე მონაწილეობს), მის ბაზაზე არსებულ პატარების საესტრადო ანსამბლს. კულტურის სახლის დირექტორის ყურადღება და მზრუნველობა არ აკლია ხალხური სიმღერების ანსამბლ „ყვარელს", რომელმაც უკვე პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკაში, შარშან კი რვა დღე საგასტროლოდ იმყოფებოდა ლატვიაში.

კულტურის სახლში მუშაობს აგრეთვე მომღერალთა ჯგუფი „გრემი" და ცეკვის რაიონული ქორეოგრაფიული ანსამბლი. ამას თუ დავუმატებთ იმ წრეებს, რომლებიც მოქმედებენ კულტურის სახლთან და ლექცია-საუბრებს, რომელთა ორგანიზაციას დიდი დრო მიაქვს, ნათელი გახდება, რომ ერთი ადამიანისათვის ეს ძალიან ბევრია. მაინც მუდამ ხალისიანია, მხიარული. საზამთრო საძოვრებისაკენ, ტარიბანასაკენ რომ გაუდგებიან გზას სახალხო თეატრის მსახიობები და ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მაშინ ხომ შეუცვლელია დირექტორი. 160 კილომეტრს ისე გაივლიან, ერთხელ არ ამოისუნთქავს, დაღლას ვერავინ შეამჩნევს. ამბობენ, თვალების ფერსაც კი იცვლისო ამ დროს ღიმილადა და სიმღერად დამდნარი ვაჟკაცი. ისე მივლენ, ვერც კი გაიგებენ. მერე თვითონვე დაირბენს ყველგან ალექსანდრე. შეჰკრავს, შეაგროვებს მუდამ მოუცლელ მაყურებელს და ისეთ დასამახსოვრებელ საღამოს მოაწყობს, დიდხანს სალაპარაკოდ აქვთ მწყემსებს.

ყველაზე დიდი საზრუნავი კი მაინც სახალხო თეატრია.

— კარგ ტრადიციას გაფრთხილება სჭირდება, — გვეუბნება კულტურის სახლის დირექტორი, — ყვარელში გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა კოტე მარჯანიშვილმა. ჩვენ ვამაყობთ მისი სახლ-მუზეუმით, რომელიც 1959 წელს გაიხსნა, იქ უკვე მესამედ იცვლება ექსპოზიცია. მისი დირექტორი მზიური ანასაშვილი სულ მოკლე ხანში კვლავ გააცოცხლებს მარჯანიშვილისეულ კერას, რომელიც ყვარლის ხელოვნების მუშაკთათვის უწმინდესი ადგილია.

ჩვენს პირობებში მუშაობას სცენის დიდი სიყვარული სჭირდება. ამ სიყვარულით არიან დაკავშირებული სახალხო თეატრთან რეჟისორი ანზორ შერგილაშვილი და მხატვარი კარლო ფირანიშვილი. გვაკლია მსახიობები, გვიჭირს, მაგრამ მაინც ვახერხებთ წლის განმავლობაში ორ ახალი სპექტაკლის დადგმას.

დიახ, 17 სექტემბერს მართლაც ზეიმი იყო კულტურის სახლში. ხუთასკაციანი დარბაზი უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყო. სუფევდა ზეაწეული განწყობილება, რომელიც ეუფლება ხოლმე მსახიობსაც და მაყურებელსაც ფარდის ახდის წინ...

იმ დღეს თბილად მიიღო ყვარლის საზოგადოებამ ვ. მაზმიშვილის პიესა „ხუმრობას ნუ ეხუმრებით".

პრემიერის შემდეგ რამდენიმე დღე იყო გასული. სცენაზე ჯერ კიდევ იდგა ბოლო მოქმედების დეკორაციები. ანზორ შერგილაშვილს გაენათებინა დარბაზი, იჯდა და ფიქრობდა. კვლავ ეძებდა რაღაცას რეჟისორი, ბოლომდე არ იყო კმაყოფილი... ეს ძიება, საქმის ეს სიყვარული, იმედია, კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ერთი კია: ყვარლის ახალგაზრდობამ ხელი უნდა შეუწყოს რეჟისორსა და კულტურის სახლის დირექტორს. მარჯანიშვილის სამშობლოში სცენა და თეატრი უნდა იტაცებდეს მომავალ თაობას. მით უმეტეს, რომ რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს ამისათვის, 23 კულტურის სახლი და კლუბი ემსახურება რაიონის მშრომელებს. 2-3 წელიწადში გადაწყდება საკლუბო დაწესებულებების ბინის პრობლემა.

უკვე შეკეთდა გრემისა და ენისლის კულტურის სახლები, კუჭატნისა და ხანავარდოს კლუბები. მომავალ წელს გადაეცემა ექსპლოატაციაში საბუისა და გავაზის თანამედროვე ტიპიური კულტურის სახლები. დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები ჰიკაანის კულტურის სახლისა...

არის ისეთი სოფლებიც, სადაც მძიმე მდგომარეობაშია კლუბები. მაგალითად, სოფელ თივაში კლუბის შენობა შეუფერებელია. ეს ყველას აწუხებს რაიონში და ზრუნავენ კიდეც.

ენთუზიაზმი არ აკლიათ ყვარლელებს. მოუსმინეთ სოფელ გავაზის, ახალსოფლისა თუ შილდას მომღერალთა ვოკალურ ჯგუფებს და ნახავთ, როგორ უფრთხილდებიან რაიონში ხალხურ სიმღერებს. აგროვებენ, ასრულებენ, იწერენ. ცდილობენ, შთამომავლობას არ დაეკარგოს არაფერი

...დიდი წინაპრებისადმი სიყვარული ბევრს ავალებს ყვარლის რაიონის კულტურული ცხოვრების მესვეურთ. პატრიოტულმა საქმემ ზღვარი არ იცის და არასოდეს შეიძლება შეჩერება...

ყვარლელებო, ეძიეთ ახალი სიმები, ძალიან ფაქიზი, შერჩეული სიმები, რომელიც დაამშვენებს თქვენს საქვეყნოდ განთქმულ სახელს...

# სიცოცხლე გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადი ასაევი — ავტოპორტრეტი

რადი ასაევის ექსპოზიციურმა ტილოებმა დატოვეს თბილისის მხატვართა სახლის დარბაზები და რესპუბლიკის რაიონული ცენტრის ქალაქებში გადაინაცვლეს.

რადი ასაევი... გული ნაღველით ივსება ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ფუნჯის ოსტატის ყოველი ნამუშევრის ხილვისას.

ტრაგიკულმა შემთხვევამ ადრე მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. ის ახლა 35 წლის იქნებოდა — შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში... „ნიჭიერი ფერმწერი, თავმდაბალი ადამიანი" ასე უწოდებდა ახალგაზრდა მხატვარს სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მ. ანიკუშინი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს რადი ასაევის შემოქმედებით ზრდას.

მოკლე იყო რადის შემოქმედებითი გზა — სულ ათი წელი, მაგრამ რამდენის გაკეთება მოასწრო!

ჩვენს წინაა ჟანრობრივი და ისტორიული ტილოები, მხატვრული პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები — ნათელი დასაბუთება ფუნჯის ოსტატის დაუღალავი მუშაობისა, რომელმაც შეავსო და გაამდიდრა ოსური სახვითი ხელოვნების ფონდი.

სამოცზე მეტი ნაწარმოები შევიდა რადი ასაევის ახლანდელ ექსპოზიციაში.

სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვრის სადიპლომო ნამუშევარი — „ცამეტი კომუნარის დახვრეტა". სურათში ასახულია სულით ძლიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ახალგაზრდა საბჭოთა წყობილებას.

აქვეა ღრმა შინაარსის პორტრეტები — „დედა", „ბოშა", „ინჟინერ-გამომგონებელი ე. ერიომინი", „ნატაშა" და სხვები.

რადი ასაევის პეიზაჟების უმრავლესობა შექმნილია ლენინგრადში, სადაც სწავლობდა იგი ი. ე. რეპინის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის ფერწერის ფაკულტეტზე საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის, პროფესორ ე. ე. მოისეენკოს ხელმძღვანელობით.

რადი ასაევმა დატოვა ბევრი ესკიზი, რომლებიდანაც ჩვენ ვიგებთ მის ჩანაფიქრს. ესენია დინამიზმით სავსე ტილოები „ბიჭუნა ცხენით", „სპორტი", „წყაროსთან", „მეღვინეები" და მრავალი სხვა.

სწორედ ამ ტილოებში გრძელდება ახალგაზრდა მხატვრის ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე.

ჯილდა ივანიშვილი

## თამაზ გოდერძიშვილი

— გამარჯობა, ბატონო ერმოკრატე!

— „შემოდგომის ეშინია მხოლოდ ფოთოლს, მხოლოდ ფოთოლს...“ —

ერმოკრატე შემოტრიალდა, ბამბის თითებზე გადაგლეჯილი ყავისფერი ხელთათმანი წაიძრო და შემომაცქერდა.

— „და დარდისგან იგი ისე გაყვითლდება, რომ...“

— ყოჩაღ, კარგი მახსოვრობა გქონია! — შემაქო ერმოკრატემ, — ხომ დიდებული ლექსია?

— საუკეთესო.

— დიდებულია!

— რასაკვირველია.

— მიუნხენში დავწერე.

— შეეფერება დაწერის ადგილს, ბატონო ერმოკრატე.

— კარგი ქალაქია, ლამაზი. ფილოსოფიის ძლიერი სკოლაა იქ... ახლა არ ვიცი, მაშინ ასე იყო. რა ალადგენდა იმას, ხუთი წელია რაც ომი დამთავრდა. მაგრად დაიბომბა, არა?

— არა.

— აბა გადარჩა?

— გადარჩა, ბატონო ერმოკრატე.

— კიდევ კარგი. — გახარებულმა შვებით ამოისუნთქა და ლურჯი ფერის გაქონილი შლაპა მოიხადა. შეთხელებული გრძელი თმა აეწეწა. თავისუფალი ხელი ქოჩორზე გადაისვა, — დიდებული ქალაქია, არქიტექტურის ნიმუშებითა და შედევრებით სავსე. კარგი ქალები იყვნენ იქ...

— არ მომწონს იქაური ქალები.

— შენ რა იცი, ბავშვი ხარ ჯერ.

— გამარჯობა, ერმოკრატე! — ჩაგვიარა ერთმა აკადემიკოსმა.

მაშინ ჩვენს ქუჩაზე მხოლოდ ორი აკადემიკოსი ცხოვრობდა.

— გამარჯობა, შალვა. — ერმოკრატემ აცადა, ვიდრე მეცნიერი ჩაივლიდა, იცნობ ამას?

— დიახ.

— იქ სწავლობდა, ჩემთან ერთად. ვერ გაუძლო და პარიზში გადასახლდა.

— რას ვერ გაუძლო?

— აკი გითხარი, იქ ფილოსოფიური სკოლა ძალზე ძლიერი იყო. აქედან გამომდინარე, მკაცრი სწავლა და რეჟიმი, ჩემო ბატონო... ყველას კი არ შეუძლია თოთხმეტ საათს წიგნებში იქექებოდეს. პარიზში სტუდენტებს შედარებით იოლი ცხოვრება ჰქონდათ.

— ამონასრო! ამონასრო! ამონასრო! ამონასრო! — წამოგვპარვოდა სამი რვა თუ ცხრა წლის ყმაწვილი და ერმოკრატესკენ იშვერდნენ ხელებს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ერმოკრატე სალაყაძეს ჩვენს უბანში ამონასროს ეძახდნენ, ზურგს უკან, რასაკვირველია. პირში ასე დაძახებას ვერავინ უბედავდა, ბავშვების მეტი. ბავშვებზე კი ერმოკრატეს გული არ მოსდიოდა, არც გაჯავრებია არასდროს.

— ა-მო-ნასრო! ა-მო-ნასრო! — მარცვლავდნენ ახლა ბავშვები და იჭაჭებოდნენ. მართალი გითხრათ, ახლაც ვერ ვხვდები, რა აცინებდათ.

ბიჭები გავრეკე და შემცბარი ერმოკრატესათვის შემდგომი საუბარი რომ გამეადვილებინა, შევეკითხე:

— ახლა რაზე მუშაობთ?

— გვირაბის პროექტი მაქვს მზად. მთავრობაში ახლა უმეტესად ჩემი თაობაა და გატანა არ გამიჭირდება.

— რა გვირაბია?

— კავკასიონის შუაგულში. სტრატეგიულად აუცილებელია ასეთი დუბლიკატი ჰქონდეს დარიალის გზატკეცილს. ესეც არ იყოს, დიდად ამოკლებს მანძილს მოსკოვამდე და რუსეთამდე საერთოდ.

— სად უნდა გაიყვანოთ ეგ გვირაბი? რომელ ადგილას?

— შუაგულ კავკასიონში-მეთქი, ხომ გითხარი?! გადაზომე და ორად მოკეცე.

— ზუსტად გამოდის?

— კი, ზუსტად.

— რამდენი კილომეტრით ამოკლებს?

— ხუთას ორი კილომეტრით და რვაასი მეტრით.

— ე. ი. ხუთას სამით?

— ხუთას ორით და რვაასით, — გაიმეორა დაბეჯითებით, — რამდენიმე სანტიმეტრია ნაკლები. მაგრამ ახლა პროექტის განხილვა ხომ არ არის?!

— კაი შვიდი საათი უნდა დაზოგოს მაგან.

— დაახლოებით. ეგაც გამოვითვალე, ჩანაწერები შინ მაქვს.

— საინჟინრო საქმე სადღა შეისწავლეთ, თქვენ ხომ ფილოსოფიურზე სწავლობდით?

— იქვე, იქვე, ჩემო ბატონო. პირდაპირ საინჟინრო არ დამიმთავრებია, მაგრამ... ორ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დიპლომები კარადაში მაქვს ჩაკეტილი. შალვას ჰკითხე, როცა ამოივლის, ან ეგნატეს. ეგნატეც იქიდან არის გამოგდებული, მაგრამ მალავს, — ეშმაკურად ჩაილიმა.

— სამნი იყავით და მხოლოდ თქვენ გაუძელით?

— გაგიგონია ნიჭზე რაიმე, ჩემო ბიძია? ნიჭი შენ მართლა ზეგარდმო მოვლინებული უპირატესობა არ გეგონოს. ნიჭი შრომისმოყვარეობაა, მეტი არაფერი. ზოგს ორი წიგნი არა აქვს წაკითხული და იჯგიმება ხელმძღვანელ პოსტზე აღზევებული, კონფერენცჰოლივით კაბინეტში ბილიარდისხელა მწვანემაუდგადაკრულ საწერ მაგიდასთან. მე კი ორი დიპლომი უჯრაში მიდევს და მილპება.

— მერე გემუშავათ სადმე.

— თავისუფლება მჭირდება... მე პოეტი ვარ. ბიძია! ხომ იცი, ხომ გაგიგონია. რას ამბობენ უშუბლო შალვა და რეგვენი ეგნატე ჩემზე? ტყუილი არ გეგონოს, მართალია ყველაფერი.



# შემოდგომის ფოთოლი

ვიცოდი, პატივცემული აკადემიკოსები რასაც ჰყვებოდნენ ერმოკრატე სალაყაძეზე; ის კი არა, ზემორე საუბარი, თქვენ რომ თავი შეგაწყინეთ, უკვე, ვინ მოთვლის, მერამდენედ მიხდებოდა „ამონასრო ბიძიასთან“, მაგრამ... აი, ეს მაგრამ არის მთავარი!! რა მრჯიდა? რატომ ველაპარაკებდი ამდენს ამ ხნის კაცს? რა დაუშავებია? დაცინვის უფლება ვინ მომანიჭა? ალბათ, უდარდელმა ახალგაზრდობამ; ან თავისუფალმა დრომ, სამწუხაროდ, ბევრი რომ მრჩებოდა გაკვეთილების მომზადების შემდეგ და არ ვიცოდი, როგორ გამომეყენებინა; დრომ, თან რომ წაიღო ყველაფერი, რაც მაშინ უნდა შემეძინა და რასაც ველარასოდეს ალვიდგენ; დრომ, უკვალოდ რომ გაქრა და აღარ მომიბრუნდება; ან მოზარდის სიმკაცრემ, ხანდახან, ხანდახან კი არა, უფრო ხშირად სისასტიკემდე ახარისხებულმა! რაღა თქმა უნდა, სამივემ, ფუქსავატურმა სიჭაბუკემაც, აუთვისებელმა დრომაც და დაუფიქრებელმა სიმკაცრემაც.

— რას გაჩუმდი, ბიძია? არ გაგიგია ჩემი ამბავი?

— არა. ერმოკრატე ბიძია...

და ჰყვებოდა, რა ბრწყინვალე საღამო ჩაატარა მიუნხენში. მაშინ ახალგაზრდა, ლამაზი და მესამე კურსის სტუდენტი იყო. მთელი საათი კითხულობდა ლექსებს, რომელსაც გერმანულად თავადვე თარგმნიდა; ჰყვებოდა, როგორ შეიყვარა, უფრო ლექსების გამო (ამას თავმდაბლობა ათქმევინებდა!), ფროილაინ მარგორეტმა, ულამაზესმა, ზღაპრულმა ქალიშვილმა მთელ ქალაქში. შემდეგ სადიპლომო ნამუშევრის „კანტი და ნიცშე. შედარებანი“ ბრწყინვალე დაცვა ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სამი წლის შემდეგ ასეთივე ბრწყინვალე სადოქტორო ნამუშევარი „ძველბერძნული არქიტექტურა და ეგვიპტე“. მარგორეტის გატაცება ბერლინში. გაჭირვებული, მაგრამ სიყვარულით სავსე დღეები მანსარდაზე, სიხარულის ბედნიერება. მერე... ოპერის თეატრი. „აიდა“. მეორე ანტრაქტზე უფრაკოდ შემოვარდნილი მეგობარი ჰაინრიხი თეთრი კონვერტით ხელში. დედის გარდაცვალების დეპეშა ტფილისიდან. გამოთხოვება მარგორეტთან იქვე, ოპერაშივე და მარგორეტის საბედისწერო გაფრენა ქანდარიდან პარტერში. ამას ყოველთვის „გაფრენას“ ადარებდა. არც ერთხელ არ წამოსცდენია, კაბის ბოლოზე ხელები წაივლო, ფეხები მხოლოდ მუხლებამდე გამოაჩინა, ბარიერს გადაალაჯა და გადახტაო. ასე ამბობდა: მკლავები გაშალა და ქანდარიდან გაფრინდაო. შემდეგ დაპატიმრება: ეჭვიანობდი და ხელი ჰკარიო. ციხე. ფიქრი, ფიქრი, დაუსრულებელი ფიქრი ცხოვრებაზე, გაუბედურებულ ყოფაზე, უპატრონოდ დამარხულ დედაზე, სამშობლოზე. დიდი სიცხე. დიაგნოზი: მინინგიტი. თეთრი პალატა. ოპერის ინციდენტის უნებლიე მოწმეების დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ — გათავისუფლება... მაგრამ რად გინდა ასეთი გათავისუფლება?!

— ამონასრო! ამონასრო! ა-მო-ნასრო! ა-მო-ნასრო! — მოგვპარვოდნენ ისევ ის ბიჭები. ონავრებს გამოვენთე. გაიქცნენ მკვირცხლი ბავშვები.

— წავედი ახლა, მეჩქარება! — მოგონებებმა სევდა აუშალა და დაუდარდიანდა თვალები.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბიძია ერმოკრატე.

— კარგად იყავი, ბიძია. — გაქონილი შლაპა დაიხურა, დახეულ ხელთათმანებს დიდხანს იცვამდა, ყავისფერი ნაჭერი თითებშუა ჩაჰყავდა მოთმინებით. მერე წავიდა. სამიოდე ნაბიჯი არ გადაედგა, მობრუნდა და გამიღიმა.

ერმოკრატე ჩემი სახლის წინ ცხოვრობდა. პენსია არ ჰქონდა სარჩენად. ხან — მეზობლები, ხან — სტუდენტობისდროინდელი ნაცნობ-ამხანაგები, ფულს უგროვებდნენ და იწყებოდა მისი ბინის ძირფესვიანი დალაგება. ყოველივე ეს ერმოკრატეს ვერის აბანოში წასვლით მთავრდებოდა. ამ დროს ძალიან გალიზიანებული დადიოდა. არავის გველაპარაკებოდა. ალბათ, დახმარებას თაკილობდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ეს უფრო ანერვიულებდა.

— ა-მო-ნასრო! ა-მო-ნასრო! — უკან მისდევდნენ ბავშვები და უყვიროდნენ.

ერმოკრატეს დიდი ალბომი ჩაეკრა მკერდში და დაფიქრებულს არც კი ესმოდა ცინგლიანი ბიჭების ყიჟინა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო ერმოკრატე!

— დილა მშვიდობისა... მშვიდობა მოგცეს ღმერთმა...

— საიდან მობრძანდებით, ბატონო ერმოკრატე?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში ვიყავი.

— სად?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში, როგორ არ იცი, ვერის დაღმართზე რომ არის.

— ვერის დაღმართზე უსინათლოთა საზოგადოებაა.

— არა, იმის გვერდით, კაცო.

— იმის გვერდით ტელეფონების სადგურია.

— ტელეფონების სადგური ძნელაძეზეა.

— აბა თქვენ სად ბრძანდებოდით?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მინისტრთან.

— რაზე შეწუხდით, საიდუმლო თუ არ არის?

— რა საიდუმლოა, შე კაცო, თავსაფარი გამოვიგონე.

— რა?

— თავსაფარი. ხომ კარგი სახელია? თავსაფარი! თავშესაფარში არ აგერიოს.

— წამოსასხამი რომ არის?

— არა, ბიძია, მაგ საკითხზე სოფლის მეურნეობაში რა მინდოდა?! გეტყვი, თუ არსად გეჩქარება.

— გისმენთ.

— შემეცოდა, ამხელა მოსავალი რომ დაისეტყვა კახეთში. ბევრი ვიფიქრე და აი, რა გადავწყვიტე: თუ მეტეოროლოგები დაგვეხმარებიან (მეტი არაა ჩემი მტერი!) და მართლაც გვიწინასწარმეტყველებენ სეტყვას, კავკასიონის მთავარი ქედიდან მთელ ალაზნის ველსა და კახეთს სახურავივით გადაეფარება თხელი აბრეშუმის, პარაშუტებს რომ აკეთებენ, იმ ნაჭრის თავსაფარი. სეტყვის შემდეგ, ყინული რომ დადნება და თავსაფარზე წყალი დაგროვდება, მიუშვებ უწყლო რაიონებში და ორ კურდღელს დავიჭერთ ერთად, გაიგე, ბიძია?

— გავიგე.

— როგორი აზრია?

— დიდებული, მაგრამ ამას ხომ უნდა მექანიზაცია, აშენება. ეგ აპარატურა, ალბათ, გიგანტური იქნება.

— ამაზე, ჩემო ბატონო, იმათ იფიქრონ, უსაქმურად ვინც ზის: მექანიზატორებმა, მექანიკოსებმა, მანქანათა ნაწილების, თეორიული მექანიკის, მასალათა გამძლეობის სპეციალისტებმა. მრცხვენია, თავმოყვარეობა არ მანებებს, თორემ მეც კი ავიღებდი ხელფასს სამუშაო საათებში ჭადრაკის თამაშში.

— გენიალური აზრი მოგსვლიათ, ბატონო ერმოკრატე.

— აი, ასე გადავარჩინე კახური ყურძენი, ბიძია. ვინ დამიფასებს ამას?

— ჩვენ, ბატონო ერმოკრატე.

— კარგი, ბიჭო, ერთი... — გულიანად ჩაიცინა და შინისაკენ გასწია.

— სამინისტროში რა გითხრეს? — წამოვეწიე.

— მინისტრთა საბჭოში გამგზავნეს. მაგათ ჰგონიათ, თავს მოვიკლავ აქეთ-იქით სირბილით. თუ არ უნდათ, ნუ უნდათ, ბატონო. — ალბომი უფრო ძლიერ მიიხუტა მკერდზე და სადარბაზოში გაუჩინარდა. სულ მალე უკან მობრუნდა: ნახვამდის, ბიძია!

— ნახვამდის, ბატონო ერმოკრატე...

— ვიმუშავებდი, ბიძია, ამ დევური მექანიზმის შექმნაზეც, მაგრამ... ხომ იცი, მე პოეტი ვარ... თავისუფლება მჭირდება... თავისუფლება შინაგანი და სულიერი... განსაკუთრებით მატერიალური. პოეტს არ შეიძლება, ხუნდები ედოს, გინდაც ოქროსი იყოს ეს ბორკილი. თავისუფლება... თავისუფლება... — მზეს გაუსწორა თვალები და დამემშვიდობა.

. . .

ერმოკრატე სალაყაძე ხანდახან შავ ბაბთას იკეთებდა თეთრ საყელოზე. იმ დღეს არავის გვიყურებდა, არავის გველაპარაკებოდა, თავს არ გვიყადრებდა. შავი ბაბთა თეთრ საყელოზე მაშინ ისეთი იშვიათი ხილი იყო ჩვენს უბანში, რომ გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებოდნენ და ისე აყოლებდნენ თვალს მობუტბუტე მეოცნებეს. ზოგი ამბობდა, ჯერ კიდევ კაიზერმა შემოგზავნა და თვალები რომ აგვიხვიოს, თავს იავადმყოფებსო; ზოგი ამბობდა, ზედმეტი სწავლით მოუვიდაო; ზოგი — ნერვებს აჰყვაო. უმეტესობა ორ ფაკულტეტს აბრალებდა ერმოკრატეს უცნაურობას, განსაკუთრებით, ფილოსოფიურს.

. . .

კოკისპირულად წვიმდა.

მე და ბატონი ერმოკრატე სადარბაზოში ვიდექით.

— ავაშენოთ, ბატონო, ეს წისქვილები და მხოლოდ წვიმის დროს იმუშაონ. მშრალში იდგნენ ისევე ლამაზად და კოხტად, როგორც ეთნოგრაფიული მუზეუმის ნიმუშები. რა უჭირს მერე? წვიმიან ამინდში ფქვილს მოგვცემენ, მშრალში კი ტურისტებისაგან — შემოსავალს. რა არის ამაში ცუდი? — უეცრად მკითხა ერმოკრატემ.

სულ სხვა რამეზე ვსაუბრობდით და

# სოფელი-მუზეუმი



შემოქმედი ულამაზესი და უძველესი სოფელია გურიაში. იგი ხეხილის ბაღებსა და ტყეებშია ჩაფლული, აჭარა-გურიის ქედის ჩრდილოეთ დამრეც კალთებზე და საკალმახე მდინარეების ბჟუჟისა და აკიშას ნაპირებზეა შეფენილი. სოფლის მიდამოებში ნაპოვნი იშვიათი ნივთები ნეოლითური ხანის ქვის ცულები, რომელთა ასაკი ათი ათასი წლის მიღმაა საძიებელი, მოწმობენ, რომ აქაურობა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში აურჩევია და აუთვისებია ადამიანს. შემოქმედში ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით უძველესი კულტურის ნაშთებს, ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარებს, ციხეების, ეკლესიების ნანგრევებს. აქ ნაპოვნი კლდეში ნაკვეთი საწნახელი ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით თარიღდება. ყურადღებას იპყრობენ ნაჭიხურელასა და აგარანის ბორცვები ძველი ციხე-სიმაგრეების ნაშთებით, აკიშას საყდარი, ქედას ეკლესია, განისფერდის ტაძარი, რომელიც მე-7-8 საუკუნეების ძეგლია. სოფლის ნამდვილი სიამაყეა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მე-12-13 საუკუნეებში აუგიათ (ვახუშტი: „არს მონასტერი შემოქმედს დიდშენი, გუნბათიანი იყო ესე საარქიმანდრიტო. ან არს საეპისკოპოზო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მას ქვეითის გურიისა“). აქ გადმოუტანიათ და შეუნახავთ ზარზმის მონასტრის საგანძური სამხრეთ საქართველოში ოსმალთა მოძალების დროს. ამჟამად შემოქმედის მონასტერთან მუშაობს სახალხო აკადემია (რექტორი ა. სურგულაძე, პრორექტორი ე. ხინთიბიძე).

სოფელ შემოქმედის ამ დიდებულ ისტორიულ ძეგლებს ჩვენს დროში შეემატა: სამოქალაქო ომის გმირის ნესტორ კალანდარიშვილის, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმები და გურული ხალხური სიმღერების ცნობილი შემკრებისა და შემსრულებლის, სახელგანთქმული ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის მემორიალი.

1983 წლის 4 ოქტომბერს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა თეატრალური მოღვაწის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის, ვლადიმერ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლი და მუზეუმი. ეს ღონისძიება მიეძღვნა რუსი და ქართველი ხალხების ძმობის დღესასწაულს, გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს.

როგორც ცნობილია ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო დაიბადა 1858 წლის 11 დეკემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში. ყირიმის ომის დროს ოზურგეთის სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, ამიტომაც მისი გარნიზონი რუსის ჯარის ახალი ნაწილებით გააძლიერეს. სწორედ ამ დროს ჩამოსულა აქ პოდპოლკოვნიკი ივანე ნემიროვიჩ-დანჩენკო. ივანე ოზურგეთში გაიცნეს დუმბაძეებმა — ანტონმა (ყირიმის ომის მონაწილე, გენერალი), მოსემ და დავითმა (გენერალი), დაუახლოვდნენ მას და საკუთარ სახლში, სოფელ შემოქმედში, ბინაც კი მიუჩინეს. სწორედ დუმბაძეების სახლში შეეძინა მას მესამე შვილი — ვლადიმერი. ბავშვი აქ იზრდებოდა, აქ აიდგა ფეხი. შემდეგ ვლადიმერმა თბილისის პირველი გიმნაზია დაამთავრა და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იქ დაუახლოვდა იგი კ. ს. სტანისლავსკის. მათი ერთობლივი ღვაწლისა და დაუღალავი შრომის შედეგი იყო სამხატვრო თეატრის გახსნა მოსკოვში 1898 წელს. ეს იყო ახალი ერას დასაწყისი თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. ამ თეატრის სცენაზე ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ წარმატებით დადგა გორკის, ჩეხოვის, იბსენის, ჰაუპტმანის, შექსპირის, გრიბოედოვის, გოგოლის, პუშკინის, ოსტროვსკის ნაწარმოებები. ორგზის გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო მოსკოვის თეატრის მსახიობთა ერთ ჯგუფთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. იგი აპირებდა, თბილისში დაედგა სპექტაკლი, მაგრამ აღარ დასცალდა. დიდი რეჟისორი უეცრად გარდაიცვალა 1943 წლის 23 აპრილს.

ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუზეუმი სოფელ შემოქმედში შეიქმნა პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტის თაოსნობითა და ზრუნვით. მუზეუმის მოწყობაზე მუშაობდნენ არქიტექტორები: ს. სალუქვაძე, ო. ჩხაიძე, თ. ლომჯარია, გ. გირკელიძე; მოქანდაკეები: ვ. მჟავანაძე, მ. ჯინჭარაძე, ჯ. მიმინოშვილი, ზ. გეგიაძე... მუზეუმის შესასვლელში დგას ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქანდაკება (არქიტექტორი რ. გოგოლიშვილი, მოქანდაკე ა. გომართელი). მუზეუმი შემოსაზღვრულია მაღალი გემოვნებით შესრულებული დეკორატიული ქვის ღობით, რომელსაც ალაგ-ალაგ ენაცვლება გურული ყოფისათვის დამახასიათებელი ე. წ. ქვის ყორე. ეზოში უხვადაა ხეხილი— ვაშლისა და მსხლის ხეები, თხილი... ხარობს ამ მხარეში ფართოდ გავრცელებული მაღლარი ვაზი — ადესა.

სახლ-მუზეუმის დარბაზებში გამოფენილია ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მშობლების, მათი მეგობრების, დუმბაძეებისა და მათ საგვარეულოსთან დაახლოებული ცნობილი პირების სურათები, დიდი თეატრალური მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები.

მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში ჩამოსულ სტუმარს ამჟამად ბევრი საინტერესო სანახავი ელის.

**გიორგი კეჟალმაძე,**
**ენვერ გოგუაძე.**

მცირე პაუზის შემდეგ ეს შეკითხვა ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, ვერაფერი ვუპასუხე.

სიჩუმე. შხაპუნა წვიმა ჟინჟღლვით შეიცვალა.

— ახლა იქაც წვიმს, ალბათ... — სევდა შეეპარა ხმაში.

— ალბათ... სად, ბატონო ერმოკრატე?

— იქ... ჩემს სულში... ჩემს სოფელში...

— წვიმს, აბა რა, საქართველო პატარა ქვეყანაა. არა მჯერა, როცა რადიო აცხადებს: დასავლეთში წვიმს და აღმოსავლეთში დარიაო.

— ალბათ, იქაც წვიმს... წვიმს.. გაუთავებლად, ერთფეროვნად, ჩუმად. ასეთი წვიმა არასოდეს ხმაურობს. ჩუმია ეს წვიმა, სევდისმომგვრელი, დარდის ამშლელი. ორღობეში ძროხა მიარხევს ყელზე შებმულ ზინზილაკს. ძაღლი უყეფს თავშესაფრად ეზოში გადმოსულ უცხო სტუმარს. წვიმს... წვიმს...

— ნეტა თუ გადააფარეს თქვენი თავსაფარი ალაზნის ველს? ვენახს აწყენს ამდენი სინოტივე.

— შენს საფლავზეც წვიმს... სასაფლაოს გუმბათმოღვეულ ეკლესიაშიც იღვრება წვიმა... რეცხავს ფრესკებს წვიმა... წვიმა ფრესკებს რეცხავს... ფრესკებს წვიმა რეცხავს...

— რაც თავსაფარზე დაგროვდება, სამგორში უნდა ჩაისხას ამჯერად.

— როცა სულ ჩამოირეცხება, მაშინ დაადგამენ სახურავს კედლებს... ჩუმად, მურია! შინაური და სტუმარი არ უნდა გაარჩიო? წვიმს... კი, ბატონო, წვიმს....

— შემოდგომაა და იწვიმებს აბა რას იზამს?!

„შემოდგომის ეშინია, მხოლოდ ფოთოლს,
მხოლოდ ფოთოლს.

და დარდისგან იგი ისე გაყვითლდება,
რომ ადვილად მოსწყვეტს იმას, გაფითრებულს,
სიოც ნაზი, სიოც ნაზი.
სირცხვილისგან კი ფოთოლი უფრო ძლიერ
გაყვითლდება,
ვერ აიტანს თავის ტანჯვას და ის მწარედ
ატირდება,
მაგრამ დედა, ხის აჩრდილი, წამოუფრენს შორი
მხრიდან,
ისე ნაზად უალერსებს, რომ გათბება მით
ფოთოლი...
თურმე ტანჯვას კი აიტანს, რომ არ იყოს ის
ობოლი...
რომ არ იყოს ის ობოლი...“

— ძალიან მაგარი ლექსია, ბიძია ამონასრო!

— ბიჭო, შენ სულ ბიძია ამონასრო, ბიძია ამონასროო, რომ გაიძახი, არ გეშინია?

— რისა უნდა მეშინოდეს? მე პირველად წამომცდა...

— ჩემი ქალიშვილი რომ გავათხოვე, არ გაგია?

— რომელი ქალიშვილი?

— აიდა, ჩემი აიდა! ისეთი სიძე მყავს, ოც შენისთანას გაკოჭავს და ნილოსში გადაუძახებს. აბა რა გგონია, ბიძია! ჭკუას მოუხმე! თუ არა გჯერა, გაიკითხ-გამოიკითხე რადამესზე ჩვენს უბანში და თუ შენზე ჭკუათმყოფელი აღმოჩნდება ვინმე, ის გეტყვის, რა ბიჭიც არის რადამესი. არ გამიწყალეს გული!

შლაპა მოირგო, ხელთათმანები თითებზე მონდომებით წამოიცვა და თავაწეული გავიდა წვიმაში.

# თუ სიყვარული გიყვარს

## ეჭვიანობა

ეჭვიანობა სიყვარულის თანამგზავრია. რარიგ რთული, მრავალფეროვანი გრძნობაა იგი! მასშია — მოუსვენრობა, უნდობლობა, შური, სიძულვილი, ბრაზი, ბოროტება, გულისგატეხა, შელახული თავმოყვარეობა და სულიერი ტკივილი...

მაგრამ ნუ დავხატავთ ეჭვიანობას მხოლოდ შავი საღებავებით, ნუ ჩავთვლით მას ადამიანისათვის შეუფერებელ გრძნობად. ის ხომ, სჩანს, მაშინ დაიბადა, როცა მრავალცოლიანობა შეცვალა ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის კავშირმა, როცა სიყვარულმა შეიძინა უფრო მნიშვნელოვანი ნიშნები, ვიდრე უბრალო სქესობრივი გატაცებაა.

ეჭვიანობა ბუნებრივია. მაგრამ მისი მთელი მრავალფეროვნება გამოიხატება იმაში, რომ, როგორც არც ერთ სხვა გრძნობას, მას ძალუძს მიიღოს არაბუნებრივი, ჰიპერბოლური ფორმები, მიიყვანოს ადამიანი აფექტამდე და გადაიქცეს ავადმყოფობად.

არ არის მართალი, თითქოს ეჭვიანობის ძალა დამოკიდებულია სიყვარულის ძალაზე და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით უფრო ძლიერად ეჭვიანობს ადამიანი.

აქ არ არის და არც შეიძლება იყოს პირდაპირი დამოკიდებულება თუნდაც იმიტომ, რომ ეჭვიანობა ეს არის უნდობლობა, სიყვარული კი პირველ რიგში ადამიანის ნდობაა. რაც უფრო ძლიერია სიყვარულში პირადული მოტივი, მით უფრო შმაგად ვლინდება ეჭვი, მით უფრო ნათლად არის შეფერადებული ის ბრაზით, სამაგიეროს გადახდის სურვილით, დასჯით. ადამიანს რაც უფრო მეტი უნარი აქვს თვითგანწირვისა, მით უფრო დახშულია ეჭვის გრძნობა, ნაკლებია მასში ბოროტება, გულჩათხრობილობა, სევდა და განცდა.

ეჭვი უკან იხევს მაღალი გრძნობების წინაშე, მაგრამ ძალუძს მისი ჩახშობაც, სიყვარულის ჩახშობაც, მისი გადაქცევა სიძულვილად. ეს ორი უკიდურესობაა, ორი პოლუსი, მათ შორის კი ვარიანტების უსასრულო ზღვაა.

თუ ეჭვიანობის ძალა ყოველთვის არ ემთხვევა სიყვარულის ძალას, მაშინ იგი ყოველთვის არ ნიშნავს ცოლქმრულ ერთგულებას.

ექიმებს არაერთხელ შეუნიშნავთ თითქოს პარადოქსული ფაქტი, ეჭვიან მამაკაცთა შორის არის ბევრი, რომლებიც თვითონ ღალატობენ მეუღლეს. ამასთანავე თავიანთ ღალატს არ ანიჭებენ მნიშვნელობას. საყვარლის მოქმედებას ისინი ამართლებენ ცოლის შესაძლებელი მოქმედებით და, მართალია, ასეთ კაცებს შეუძლიათ ეჭვიანობისაგან მოაწყონ ველური სცენები, თვითონ მათ ნამდვილად არ უყვართ არც ცოლი, არც საყვარელი, რაკი ორივეს თვლიან მატყუარად და მოღალატედ.

ეჭვიანობა დიდად არის დამოკიდებული ხასიათის წყობაზე, ემოციათა დახვეწილობაზე, ტემპერამენტზე, საერთო კულტურაზე. როდის, სად სცდებიან ისინი საზღვარს, ხდებიან პათოლოგიური? რთულ ადამიანურ გრძნობებში ძნელია ნორმების დადგენა, მაგრამ სპეციალისტები მაინც ითვალისწინებენ ბუნებრივი საზღვრებიდან გადახრილ მის ორ გრადაციას: პათოლოგიურ ეჭვს და ეჭვის ბოდვას.

პათოლოგიური ეჭვიანობა დამახასიათებელია უნდო ადამიანებისათვის, რომელთაც ყველგან და ყველაფერში ეჩვენებათ მოტყუება, ღალატი, რომლებიც თვლიან, რომ მთელი მათი უსიამოვნება სხვა პიროვნებასთან ჩაფიქრებულად არის მოწყობილი. ასეთი კაცისათვის საკმარისია ნებისმიერი, მისი თვალთახედვით საეჭვო ფაქტი, რომ ჩათვალოს ცოლი დამნაშავედ. შექმნას მისი მოღალატეობის კონცეფცია. საეჭვოდ კი მას მიაჩნია ყველაფერი. ცოლს რომ სამსახურში შეაგვიანდეს, რომელიმე სტუმართან ზედმეტად იცეკვოს, ვინმეს შეხედოს, გადაჭარბებულად მხიარული ან ნაღვლიანი იყოს.

მამაკაცები ძალიან მგრძნობიარენი არიან ცოლების მოქმედების მიმართ მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი თავს იკავებენ სიახლოვისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ დაიღალნენ, ან ბავშვია ავად, ანდა ბოლოსდაბოლოს ეცოდებათ მეუღლე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ გადაიტანა მძიმე დაავადება. ამას ყველაფერს ზოგი სულ სხვა თვალით უყურებს.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ნახევარი მამაკაცებისა, რომელთა ეჭვიანობა ნერვიული მოშლილობით დამთავრდა, როცა ექიმს მიმართეს, უკვე მეორედ იყვნენ დაქორწინებული. პირველი ქორწინება სწორედ იმიტომ დაირღვა, რომ ქალმა ვერ აიტანა მუდმივად ეჭქვეშ ყოფნა.

რა თქმა უნდა, ქალებიც ეჭვიანობენ, ზოგჯერ კი ამ გრძნობას ავლენენ დაუშვებელ, უგუნურ ფორმებში. მაგრამ თუ მამაკაცების აგრესია მიმართულია „მოღალატე" ცოლებისადმი, ქალები ემტერებიან მოწინააღმდეგეს.

დანაშაული ეჭვიანობის ნიადაგზე ხშირად ხდება არა როგორც მოფიქრებული აფეთქება, არამედ როგორც ძლიერი კონფლიქტების ტრაგიკული ფინალი. მისი ფონი არის ანგარიშმიუცემელი მოქმედება, ერთმანეთის უპატივცემლობა, ხშირად არაფხიზელი მდგომარეობა, როცა ადამიანი კარგავს თვითკონტროლს.

ალკოჰოლისტებისათვის დამახასიათებელია პათოლოგიური ეჭვიანობაც და ეჭვის ბოდვაც. ხშირი სმა უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკაზე, აქვეითებს პოტენციას, იწვევს საკუთარი თავის უკმაყოფილებას. ეს ყველაფერი კი მსმელ კაცს აეჭვებს, რომ მას ამჯობინებენ სხვას.

თუ პათოლოგიური ეჭვიანობის დროს საკმარისია სულ მცირე მიზეზი, ეჭვის ბოდვის დროს საერთოდ არ არსებობს ის. სიტუაცია, რომელთა ირგვლივაც აგებულია ბოდვა, მართალი არ არის, მითიურია. წარმოსახვითია.

ეჭვის ბოდვა ზოგჯერ ჩნდება ღრმ სკლეროზის ნიადაგზე გარდატეხის ასაკში და უჩნდებათ ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებსაც ეს ახალგაზრდობაში არ ჰქონდათ და მეუღლესთან გაატარეს მშვიდი ცხოვრება ღრმად თუ ჩავხედავთ, აქ მექანიზმი, ჩანს, იგივეა. თავისი არასრულფასოვნების შეგრძნების შიში, რომ არ გადაინაცვლოს მეორე პლანზე.

ასეთი ბოდვის უსაფუძვლობა ზოგჯერ იწვევს ღიმილს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის უბედურება. ავადმყოფობა. ავადმყოფი კაცის გამოფხიზლება, ცდა განსჯათა ზემოქმედებისა კი უნაყოფოა. აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

ეჭვიანი ქმრების ცოლების (და ეჭვიანი ცოლების ქმრების) ცხოვრება იოლი არ არის. მაგრამ ცხოვრების თანამგზავრის ამ თავისებურების გათვალისწინება აუცილებელია. პათოლოგიური ეჭვით დაავადებულნი ხშირად მოითხოვენ რაღაც არარსებული ღალატის მონანიებას, რომ თავი დაიხსნან ეჭვისაგან და დამშვიდნენ. არიან ქალები, რომლებიც თვითონ ირწმუნებენ თავს, რათა ამ გზით მიაღწიონ სიმშვიდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამაოდ. ყველაფერი ძლიერდება გაათმაგებული ძალით უკანდასახევი გზები კი აღარ რჩება.

არა მარტო ეს ცრუ მონანიება, არამედ აღელვებით ნათქვამი სიტყვაც კი შეიძლება გახდეს ძალიან მძიმე შედეგის საბაბი. ხშირად ქალი, რომელსაც სურს, შეამოწმოს ქმრისა თუ სატრფოს გრძნობის სიძლიერე, მას აძლევს ეჭვიანობის საბაბს. არ მოიქცეთ ასე, რადგან ეჭვის მარცვალი შეიძლება განვითარდეს და მაშინ ნებისმიერი უვნებელი ხუმრობა, მეგობრული, ან თავაზიანობით გამოწვეული ყურადღება ვინმე მამაკაცისადმი, უკვე ფასდება, როგორც ღალატი და იწვევს მოუსვენრობას, გაბოროტებასაც კი.

ეჭვიანობა ფეთქებადია. მასთან ხუმრობა არ შეიძლება! არ უნდა დავუგდოთ ყური ეჭვის ხმას, უნდა ჩავკლათ ჩვენში ეს ყველაფრის დამაქცეველი გრძნობა. არ შეიძლება გამუდმებით საუბარი და მსჯელობა ამ თემაზე. ამით უფრო მაგრდება პათოლოგიური ფიქსაცია, მახინჯდება თვალთახედვა და ბოლოს და ბოლოს შეიძლება განვითარდეს ნერვული დაავადება.

ეჭვიანი ადამიანი ანგარიშს უნდა უწევდეს თავის თავს, იხმარიებდეს განსჯას. უნდა დავირწმუნოთ თავი, რომ ეჭვიანობის სცენები არ ამაღლებს არც ქალისა და არც მამაკაცის ღირსებებს, რომ საყვედურებით, დაეჭვებით და მით უმეტეს ჩხუბით ვერ დაიკავებ საყვარელ მამაკაცს, პირიქით, ცუდად განაწყობ შენს მიმართ.

რა თქმა უნდა, ეჭვიანობის მთლიანად გადალახვა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ლაპარაკი ეჭვიანობის გადალახვაზე, როგორც ხასიათის ნიშან-თვისებებზე, თვითფლობის უნარის ისეთ განვითარებაზე, რომელიც არც ერთ მდგომარეობაში არ მოგცემს უფლებას, მიხვიდე უხეშობამდე და გაბოროტებამდე.

ეჭვიანობა ხშირად [illegible]ნდება ბავშვის ქცევაშიც. „ჩემია დედა, წადი!" — ყვირის ის, ჩაბღუჯული ჰყავს დედა და ხელს ჰკრავს მეორე პატარას, რომელსაც იგი მოეხვია ან მოეფერა. ასეთი სცენები ზოგჯერ ხდება ძმებსა და დებს შორისაც. ისინი დაობენ დედისა და მამის მიმართ თავიანთ უფლებებზე. მშობლებს ეს ზოგჯერ ართობს, მაგრამ ამაოდ: საჭიროა ახსნა, რომ დედმამას ერთნაირად უყვარს ყველა თავისი შვილი და ძალიან კარგია, როცა ისინი მოსწონს სხვა ბავშვებსაც.

ხშირად პირველი შვილი, რომელიც მიჩვეულია ყურადღების ცენტრში ყოფნას, თუ გაჩნდება უმცროსი ძმა ან და იწყებს ეჭვიანობას. მას ასეთი გრძნობები რომ არ დაებადოს, უნდა მივაჩვიოთ პატარაზე ზრუნვას. იგი უფროსებთან ერთად უნდა ხარობდეს, თავი რომ არ იგრძნოს უსაქმოდ და განცალკევებულად.

ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებში აღზრდა ზნეობრივი თვისებებისა, რომლებიც დაუპირისპირდებიან ეჭვიანობას — გულღიობა, ადამიანებთან ადვილად მისვლის უნარი, მიმნდობლობა, უფროსებისადმი პატივისცემა და ფაქიზი დამოკიდებულება.

ამ გრძნობებით, როგორც მახვილით, უნდა შემოისაზღვროს თავისი თავი, როგორც შექსპირი იტყოდა, მწვანეთვალებიანი ჯადოქრისაგან უფროსმა ადამიანმაც.


**გ. ვასილჩენკო,**
პროფესორი,
**ი. რეშეტნიაკი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ჟურნალი „ზდოროვიე",
1983 წ. № 5.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დროშის“ კალენდარი



## აკაკი გელოვანი

# 60

## ვლადიმერ გელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწერლო ასპარეზზე დიდი სამამულო ომის წინ გამოვიდა. 1938 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „დეპუტატი“. მას შემდეგ აკაკი გელოვანის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად. იგი მრავალი წიგნის ავტორია.

ჟანრობრივად მეტად მრავალფეროვანია აკაკი გელოვანის შემოქმედება. მის კალამს ეკუთვნის ლექსთა კრებულები, მოთხრობები, ბიოგრაფიული რომანები, ლიტერატურული წერილები, მხატვრული ნარკვევები, ეპიგრამები...

აკაკი გელოვანის შემოქმედების მთავარი თემაა საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, საქართველოს ულამაზესი კუთხის, სვანეთის გმირული წარსული და ბედნიერი აწმყო. ისტორიულ რომანში „სვანეთის თეთრი ქუდი“ მწერალმა ასახა სვანთა შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ხალხის ამბოხება მეფის მოხელეებისა და ადგილობრივ მებატონეთა წინააღმდეგ.

წიგნში „მარად ცოცხალი ხელოვნება“ თავმოყრილია მწერლის ნარკვევები მსოფლიო ხელოვნების კორიფეებზე.

მან ქართულად თარგმნა „ნიბელუნგების სიმღერა“, გოეთეს, შილერის, ჰაინეს, სტ. ცვაიგის, იბსენის, ვეერთის, ჰ. ლაქსნესის, რ. შუდერის, ალ. პარადისის, ა. როდოსელის, ე. მ. რემარკის, ანდერსენის, ჰაუფის, ლ. ტაქსილის ნაწარმოებები.

აკაკი გელოვანი ავტორია არა ერთი და ორი აქტუალური ბროშურისა... მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „ძველი და ახალი სვანეთი“.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, მისი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მიესალმებიან იუბილარს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მისალმებიდან.

### განშორებისას...

ძმის — რევაზ გელოვანის ხსოვნას

მაშვრალო ძმაო, ხომ იცოდი, როგორ მიყვარდი!
საჯიხვეებში ნავარდობდი... დაღლილი წვები...
გახსოვს, ოდესღაც ჭინჭარში რომ გადამივარდი?
შენ ძირს ტიროდი, მე კი მაღლა... გავიდა წლები...

ეცალ-ჭინჭარში სვლა არჩიე განცხრომით წოლას,
ნადიმად თვლიდი სვანეთისთვის შრომას და ბრძოლას...

როგორ დაბრძენდი, მაშვრალთათვის თავგანწირული,
სიტყვაძუნწი და საქმით უხვი, სოფლის თავკაცი!
სოფელმაც როგორ დაგიფასა ნაშრომ-ნაღვაწი,
როცა ზრუნვაში ჩაიფერფლა ამაყი გული!

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გიჩვენე ცრემლი:
განშორებისას, როცა მწუხრი ჩამოწვა მწველი,
შენი ლამაზი დღე დასრულდა — ეს იყო ცხადი...
ან რად მინდოდა ცრემლი, ვიდრე ცოცხალი მყავდი?

### ბოლომდე უნდა დაიხარჯო

თუ გიყვარს შენი ლვიძლი საქმე და შენი ერი,
ნუ ეძებ პატივს, არ დახარბდე დაფნას, მადლობას,
იწამე შენი გზა ნათელი და მშვენიერი!
ბოლომდე უნდა დაიხარჯო. მხნე და ძლიერი —
მხოლოდ შეწირულს შეიყვარებს შთამომავლობა!

ვლადიმერ გელაშვილი იმ ქართველ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე დიდი სამამულო ომის წინ გამოვიდნენ. მას შემდეგ მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად. იგი ოცდაათამდე კრებულის ავტორია.

ვლადიმერ გელაშვილის პოეტური კრებულები „ლექსები“, „მწვანე ფურცლები“, „მეგობრები“, „სიმღერა გამარჯვებაზე“, „მთები და ადამიანები“, „ფრონტული ფურცლები“ და სხვა, რომლებიც გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს ღრმა სიყვარულის გრძნობით, გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ვლადიმერ გელაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პროზაული კრებულები „ამბავი ერთი მეცხვარისა“, „რაიკომის ინსტრუქტორი“ და სხვა.

ვლადიმერ გელაშვილი წლების მანძილზე ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1963-1971 წლებში იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1964-1966 წლებში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

სხვადასხვა დროს ვლადიმერ გელაშვილი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, საქინფორმის დირექტორის მოადგილედ, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორად, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად სამხრეთ ოსეთში და ყველგან პირშეურცხვენლად ატარებდა მწერალ-კომუნისტის საპატიო სახელს. 1971 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ვლადიმერ გელაშვილის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, მისი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მიესალმებიან ღვაწლმოსილ იუბილარს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მრავალ წარმატებებს როგორც საზოგადოებრივ, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მისალმებიდან.

### წალვერი

წალვერთან ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი,
წალვერთან ამ გულმა მოხადა სარქველი.

წალვერი... წალვერი... წალვერი...
ჩემს გულში, ჩემს ფიქრში, ათასჯერ ნამღერი.

აქედან იწყება სამშობლო ჩემი,
შენა ხარ, შენა ხარ ოცნების გემი,

რომლითაც მივდივარ შორეთზე შორეთს,
შენ გეტრფი, გენუკვი, ვით დედა-მშობელს!

ჩემო სიხარულო და ჩემო ნაღველო,
ჩემს გულში, ჩემს ფიქრში ათასჯერ ნამღერო,

ჩემო საფიცარო, წალვერო... წალვერო...

### მოხუცები

მიდიან წლები — ბერიკაცები,
არ ჩერდებიან არსად წამითაც,
არ ილლებიან... მე ვიქანცები...
ერთი მათგანი მეც თან წამიყვანს!

ამიტომ ვილვწი, დღეა თუ ღამე,
რომ დავუტოვო ქვეყანას რამე.

# საჭადრაკო საათი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**საჭადრაკო საათი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ტურნირების ჩატარება, პირველად ასი წლის წინ გამოიყენეს.**

1883 წელს მანჩესტერელმა ჭადრაკის მოყვარულმა, მესაათე ვილსონმა დაამზადა სპეციალური საჭადრაკო საათი. იგი ორი მინიატურული ქანქარიანი საათისაგან შედგებოდა. ისინი ბერკეტით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ბერკეტის გადაწევით შეიძლებოდა მეტოქის საათის გაჩერება, ან ამუშავება. საათი მოთამაშეებს რეკვით ამცნობდა საკონტროლო დროის დამთავრებას.

ვილსონის მიერ დამზადებული საჭადრაკო საათი პირველად ლონდონის საერთაშორისო ტურნირზე გამოიყენეს. ტურნირი 1883 წლის 26 აპრილიდან 23 ივნისამდე ტარდებოდა. ორწრიან ტურნირში, რომელშიც იმ დროის 14 საუკეთესო მოჭადრაკე მონაწილეობდა, გაიმარჯვა იოჰან ცუკერტორტმა (22 ქულა).

ტურნირში ყაიმით მხოლოდ 14 პარტია დამთავრდა. ყაიმების მცირე რაოდენობა უცნაურმა რეგლამენტმა განაპირობა: სატურნირო ცხრილში ყაიმი მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა, როცა სამჯერადი გადათამაშების შემდეგაც მატჩი მაინც უშედეგოდ მთავრდებოდა. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, გაზარდა ტურნირის ხანგრძლივობა და მონაწილეთა დატვირთვა.

სვლების საკონტროლო რაოდენობა პირველად ასე განისაზღვრა — 15 სვლა ერთ საათში.

საჭადრაკო საათის შემოღებამდე, მოჭადრაკეები ჩვეულებრივი, ან სილის საათებით თამაშობდნენ. მეტოქეს ერთ სვლაზე ხუთი წუთი ეძლეოდა. იყო სხვა სისტემებიც. მაგალითად, 1851 წელს ლონდონის პირველ საერთაშორისო ტურნირზე მოსაფიქრებელ დროს არ ზღუდავდნენ. შეჯიბრების ერთ-ერთი ასეთი პარტიის შესახებ მსაჯი-მდივანი ოქმში წერდა: „ათ საათიანი ბრძოლის შემდეგ ორივე მოთამაშეს მატჩის დროს სძინავს“.

მატჩში მოსაფიქრებელი დროის შეუზღუდველობამ, მრავალი კურიოზი გამოიწვია.

1851 წელს, ლონდონის პირველ საერთაშორისო ტურნირზე, ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისელი მოჭადრაკეები ჰ. სტაუნტონი და ვ. ვილიამსი. ორთაბრძოლაში გამარჯვებულს შვიდი პარტია უნდა მოეგო. სტაუნტონმა, როცა ერთი ქულაღა სჭირდებოდა გამარჯვებისათვის — შეხვედრა დათმო; დათმო, რადგან მოწინააღმდეგე ყოველ სვლაზე უსაშველოდ ბევრს ფიქრობდა... და სტაუნტონმა ვეღარ გაუძლო.

1857 წელს, ამერიკის პირველ საჭადრაკო კონგრესზე, ჭაბუკი პოლ მორფი გულამომჯდარ ტირილამდე მიჰყავდა ლუი პაულსენის გამუდმებულ ფიქრს.

შემდგომ ტურნირებში თვითნებურად წესდებოდა ერთ სვლაზე ხუთი, ან ათი წუთი (სხვადასხვა ტურნირში სხვადასხვანაირად). ვინც დროს გადააცდენდა, ფულადი ჯარიმით ისჯებოდა. ვერც ამ სისტემამ გაამართლა, რადგან შეძლებული მოჭადრაკე მზად იყო ჯარიმა გადაეხადა და აჩქარებით პარტია არ გაეფუჭებინა. დაიწყეს საკონტროლო სვლების რაოდენობის გაზრდა. 1886 წელს, უნგრელ ი. კოლიშსა და გერმანელ ა. ანდერსენს შორის გამართულ მატჩში 24 სვლაზე თითოეულს ორი საათი მიეცა, რაც თანამედროვე რეგლამენტთან ორჯერ მცირეა.

მალე მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დროის გადაცილების შემთხვევაში პარტიის მოგება ჩაეთვალათ ყაიმად, ყაიმი — წაგებად, ხოლო წაგება — ორმაგ წაგებად. ასეთი გახლდათ კოლიშ-პაულსენის სამატჩო პირობების მეორე პუნქტი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თითოეულ სვლაზე განსაზღვრული დროის გადაცილების შემთხვევაში, ისევ ჯარიმა დააწესეს. ნიურნბერგის საერთაშორისო ტურნირზე (1906 წ.) ნათელი გახდა ფულადი ჯარიმების უსაფუძვლობა: ტურნირის მონაწილეთა ჯარიმამ იმდენ თანხას მიაღწია, რომ ზოგ მოჭადრაკეს უსახსროდ დარჩენა დაემუქრა. საჭადრაკო სამყაროში ჯარიმებზე ამის შემდეგ ლაპარაკი შეწყდა.

1925 წელს, თბილისის ერთ-ერთ ჩემპიონატზე ცნობილი ოსტატი ანდრეი სმოროდსკი ხვდებოდა თბილისელ მოჭადრაკეს ვართან ალამალიანს. პარტიაში გამარჯვებული ქალაქას ჩემპიონი ხდებოდა. იგი უსაათოდ გათამაშდა. სვლების მოფიქრებისათვის დრო განუსაზღვრელი იყო. პარტია დიდხანს გაგრძელდა. ალამალიანი ერთ საღამოს მხოლოდ სამ სვლას აკეთებდა; დანარჩენ დროს სმოროდსკი ასწრებდა ევახშმა, კინოფილმს დასწრებოდა... ასე გაგრძელდა სამი დღე. ბოლოს ალამალიანის ქცევით აღშფოთებულმა სმოროდსკიმ პარტია დათმო, თუმცა ზედმეტი პაიკი ჰქონდა.

...თანამედროვე საჭადრაკო საათი მნიშვნელოვნად განსხვავდება 100 წლის წინანდელი ვილიამსის საათისაგან. იგი ერთ კორპუსშია მოთავსებული. კორპუსის შიდა მხარეზე დამაგრებულ ღილაკზე ხელის დაჭერით შეიძლება საათის გადართვა. საჭადრაკო საათმა ასეთი ფორმა პირველად ჰოლანდიელი ვეენჰოფის წყალობით მიიღო 1900 წელს. საჭადრაკო საათმა შემდეგში მცირედი გაუმჯობესება განიცადა — დაემატა ალმები. როცა საათის დიდი ისარი საკონტროლო დროს მიუახლოვდება, ისრის წვერის მიბჯენით ალამი მაღლა იწევს და სათანადო დროის გავლის შემდეგ ვარდება, რაც მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის მაუწყებელია.

მსოფლიო ოლიმპიური და ეროვნული ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები და მატჩები, პრეტენდენტ ქალთა და ვაჟთა პაექრობები ახლა დროის ერთნაირი რეგლამენტით ტარდება (2 საათი და 30 წუთი 40 სვლაზე). ჯერჯერობით ესაა ყველაზე გავრცელებული ფორმა.

გიგლა გოგეჩია.

## იუმორი

ვ. სლუცკი.

### ვნახოთ!

მეშვიდე სახლმმართველობის ფეხბურთელთა გუნდი შესვენებაზე წავიდა.

პირველ ტაიმში „ნაპერწკლის“ უპირატესობა აშკარა იყო. გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა იური ბარაშკინმა მოწინააღმდეგის კარში ახლაც სამი ბურთი გაიტანა.

— ყოჩაღ, ბარაშკინ! — შესძახა სახეგაბრწყინებულმა სახლმმართველმა, — სამივე გოლი შესანიშნავი იყო. მადლობას გიცხადებ!

ჩაფიქრებულმა ბარაშკინმა თავი აილო, ამოიოხრა და თქვა:

— თქვენი გუნდიდან მივდივარ.

სახტად დარჩენილმა სახლმმართველმა პირი დააღო:

— მიდიხარ? სად მიდიხარ?

— სად და „კოცონში“.

ბარაშკინის მეშვიდე სახლმმართველობის გუნდიდან მერვე სახლმმართველობის გუნდში გადასვლა საპრიზო ადგილის დაკარგვას ნიშნავდა. უფრო მეტსაც — შერცხვენას. შერცხვენას და ავტორიტეტის შელახვას.

სახლმმართველი შებარბაცდა.

— ბარაშკინ, რატომ გადადიხარ ჩვენგან?

— სახლის ჭერი ლაგვიზიანდა და იმიტომ.

— დღესვე შეგიკეთებ ჭერს.

— სანტექნიკაც მოძველდა.

— სანტექნიკოსსაც გამოვგზავნი.

ბარაშკინი ჩაფიქრდა. სახლმმართველმა ქეჩო მოიქექა.

— იუროჩკა, — სახლმმართველის ხმაში მუდარა გაერია, — ნუ გადახვალ, დარჩი და ყველაფერს გაგიკეთებთ.

— იქაც დამპირდნენ. ყველაფერს გაგიკეთებთო.

— მაგალითად, რას?

— პარკეტს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. სიჩუმე ჩამოვარდა. სახლმმართველმა ისევ მოიქექა ქეჩო.

— კარგი... დარჩი და პარკეტსაც გამოგიცვლით. დარჩები?

ბარაშკინმა თანხმობის ნიშნად დაიქნია თავი.

— აი, ხომ ხედავ, — სახლმმართველი აცქმუტდა, — ყველაფერი მოგვარდა, შენ კი გადასვლას აპირებდი.

— მაინც გადავალ.

სახლმმართველი დაუგველ კიბეზე ჩამოჯდა. ფეხბურთელები წამოდგნენ.

— მოიცა!

სახლმმართველი ბარაშკინს გასასვლელთან წამოეწია.

— იუროჩკა...

— ჩემი მათემატიკის მასწავლებელი იმათი სახლმმართველის მეუღლის მეგობარია.

— მერე?

— მათემატიკაში ორიანი მყავს.

— ეს შეუძლებელია! ასეთი თავდამსხმელი და ორიანი?! რას დაგპირდა იმათი სახლმმართველის მეუღლე?

— ოთხიანს დავაწერინებო.

— ხუთიანს გაგიკეთებ! მითხარი, სად ცხოვრობს შენი მათემატიკის მასწავლებელი? ვუჩვენებ სეირს! იუროჩკა, შენ მშვიდად ითამაშე. ახლავე წავალ და ზომებს მივიღებ, რომ წყალი შეუწყვიტონ.

— ცივი თუ ცხელი?

— ორივე.

— გათბობაც მიაყოლე!

— მივაყოლებ! დარჩები?

მეექვსეკლასელმა ბარაშკინმა ცხვირი აბზუკა და რიხიანად თქვა:

— ვნახოთ!

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შვეულად**: 1. ომგადახდილი ძველი მებრძოლი; 2. ცნობილი მომღერალი ქალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი; 3. მოხდენილი მიხვრა-მოხვრა; 4. შინაარსის მოკლედ გადმოცემა; 7. მატერიის მოძრაობის საერთო თვისებებისა და კანონების შემსწავლელი მეცნიერება; 12. ნაკლი, ნაკლოვანება; 14. დაბრკოლება, რომელიც უნდა გადალახონ; 15. XIX საუკუნის გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორი; 16. დიდი ქართველი მგოსანი; 19. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 20. სამხედრო ტექნიკის დიდი შენაერთი; 21. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს სხეულის ადგილმდებარეობას; 24. სახის მიმიკის მოშლა ნერვული სისტემის დაავადების შედეგად; 25. კურორტი საქართველოში.

**თარაზულად**: 5. წარმოდგენა მსახიობის პატივსაცემად; 6. მომღერალი მამაკაცის ხმა; 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოები; 9. ტექსტიდან უცვლელად მოყვანილი ადგილი; 10. მინერალური წყალი; 11. მცირე ზომის სტროფული ლექსი; 13. ტექსტის ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ცოტათი შეწეულია; 15. გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი; 17. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი; 18. სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი; 22. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში; 23. სახელმწიფო ევროპაში; 25. ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობა; 26. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 27. ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად; 28. ძიუ-დოს სახეობა; 29. ფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს ბგერას; 30. ზოგ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობის პირის წოდებულება.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.

## დასავლეთის სამყაროში

### როგორ?

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის უამრავი წიგნი, რომლებიც იწყება სიტყვით „როგორ?"... მაგალითად, „როგორ გავერთოთ?", „როგორ გავლამაზდეთ?" „როგორ გავხდეთ მილიონერი?.."

ამას წინათ ამერიკის წიგნის ბაზარზე ამ სერიიდან გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი „როგორ მოვკლათ?". წიგნის ავტორია ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღების ექსპერტი ჯონ მინერი.

ავტორი თავის ნაშრომს, რომელიც საკმაოდ ძვირი — 40 დოლარი ღირს, ასე იწყებს: „ამ სახელმძღვანელოს დანიშნულებაა, ვინც მკვლელობა გადაწყვიტა, ასწავლოს უკეთესად როგორ მოიმოქმედოს ეს". ავტორი მომავალ დამნაშავეს ურჩევს, თუ მტკიცედ გადაწყვეტს, აღარ იორჭოფოს და სწრაფად ჩაიდინოს მკვლელობა. მკვლელობა, ავტორის აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქცეს საკუთარ სიამოვნებად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კატასტროფულად იზრდება დანაშაული, ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღების ექსპერტის ჯონ მინერის 40 დოლარად ღირებული წიგნი სწრაფად გაიყიდა.

### პაკეტი ყალბი ბანკნოტებით

ამერიკის შეერთებულ შტატებში განგსტერთა თავდასხმისაგან ბანკების დასაცავად კიდევ ერთი ორიგინალური საშუალება გამოიგონეს.

ბანკის სალაროში პაკეტებში ჩალაგებული ნამდვილი ფულის გვერდით ინახება ასევე პაკეტებში ჩალაგებული ყალბი ბანკნოტებიც.

ყალბ ფულთან ჩამონტაჟებულია ელექტრული დეტონატორი, ცრემლმდენი გაზის კაპსული და მკვეთრი ფერის საღებავის გამომფრქვევი მოწყობილობა.

თუ ვინმე ფულს გაიტაცებს, კარის გამოღებისთანავე, საგანგებო ელექტრომოწყობილობის საშუალებით, ყალბბანკნოტიანი პაკეტი მაშინვე ფეთქდება.

მიზანი მიღწეულია: აცრემლებული და მკვეთრი ფერის საღებავით გათხუპნული დამნაშავის ცნობა პოლიციისათვის ადვილი საქმეა.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: მოსკოვის ბაბუშკინის სახელობის პიონერთა სახლის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია „ივერია".

კორექტორი ცისანა სიჟინავა
მონტაჟი მზია ლოგუანიძისა

გადაეცა წარმოებას 2.11.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.11.83 წ., უე 04023. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 49.500. შეკვ. № 2531. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66,
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69,
პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.




ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი ხვანჭკარაში.

ფოტო ბონდო დადვაძისა














ეროვნული
ბიბლიოთეკა





ინდექსი 76056